# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№28 (9.938)

15-22 აგვისტო 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## დავით სონღულაშვილი – დედოფლისწყაროს მაჟორიტარად!




საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე, საქართველოს თავდაცვის მინისტრი და „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივანი ირაკლი ღარიბაშვილი 14 აგვისტოს სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმს სტუმრობდნენ, სადაც მათ დედოფლისწყაროელებს, გურჯაანის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის ოლქში ,,ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დავით სონღულაშვილი წარუდგინეს.

წარდგენამდე, მოსახლეობას **საქართველოს პრემიერ-მინისტრმა** გიორგი გახარიამ მიმართა: „მოგესალმებით დედოფლისწყაროში, ძალიან ღირსეულ კახელებთან ერთად. დღევანდელ დღეს საუბარი უნდა დავიწყოთ იმის გახსენებით, რომ ზუსტად 28 წლის წინ საქართველოში, სოხუმში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი. ეს ის დღეა, რომელიც უნდა გვახსოვდეს და აგვისტო ის თვეა, როცა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყანა ოკუპირებულია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ერთად, ვიშრომოთ ერთად, რომ ქვეყანა მშვიდობიანად გავამთლიანოთ. მოსავალზე რომ გადავიდეთ - რთველი იწყება დედოფლისწყაროდან და შეუძლებელია, რთველს გვერდი ავუაროთ. **2012 წელს კახეთში ჩაბარდა 52 000 ტონა ყურძენი, 2019 წელს - 278 000 ტონა და 2020 წელს ჩაბარდება 300 000 ტონა.** ეს არის შრომის შედეგი, იმის შედეგი, რომ თქვენ, კახელები, მოქალაქეები, მთავრობა, ყველა ერთად ვშრომობთ. ეს შრომა ხომ ამ ქვეყნისთვის გვინდა. ჩვენ ხომ ვამბობთ, რომ ბევრი კარგი საქმე გვაქვს დაწყებული და უნდა დავამთავროთ ეს კარგი საქმეები, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. რაც არ უნდა იყოს, ეს მთავრობა, „ქართული ოცნება“ ყოველთვის გვერდით ედგა ქართველ გლეხს, ქართველ ფერმერს. ამის დადასტურება იყო ყველა გასული წელი 2012 წლიდან და ამის დადასტურება იქნება ეს რთველიც. ჩვენ ამ რთველსაც ჩავატარებთ ძალიან მაგრად და ქართველ გლეხს, კახელ გლეხს საამაყოდ ექნება, როგორ ჩავატარებთ ამ რთველს. ისევე, როგორც დავაბინავეთ ატამი, დავაბინავებთ ვაშლს, შემდეგ თხილს და შემდეგ ციტრუსს. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ არც ერთი გოჯი მიწა ამ ქვეყანაში დაუმუშავებელი არ უნდა დარჩეს, იმიტომ, რომ ყველამ ერთად, პირველ რიგში, ჩვენს მოქალაქეს უნდა მივხედოთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ბევრი გვაქვს საშრომი, რათა ჩვენს ბავშვებს განათლების მაგარი სისტემა შევუქმნათ. ჩვენი ბავშვები, რომლებიც საქართველოში განათლებას მიიღებენ, აქედან რომ გავლენ, სხვა ქვეყნის შვილებზე უფრო მაგრები უნდა იყვნენ, იმიტომ, რომ ნიჭიერები არიან. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ და ვიშრომოთ იმისთვის, რომ ჩვენი მოხუცები, ღვაწლმოსილი პენსიონერები, ღირსეულად ცხოვრობდნენ, ჯანმრთელობა ჰქონდეთ, ჯანმრთელობის მომსახურება და ნორმალური სოციალური დახმარება ჰქონდეთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჯან-ღონით სავსე ადამიანებს სამართლიან გარემოში შრომის შესაძლებლობა ჰქონდეთ, რათა ჩვენი ოჯახები ღირსეულად ვარჩინოთ. ეს არის ჩვენი ძირითადი მიზანი, როდესაც ვამბობთ, რომ ჩვენი ძირითადი ამოცანაა ადამიანზე ზრუნვა. ადამიანზე ზრუნვის მიზანმა მოგვცა შესაძლებლობა, ეს ვირუსიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უკეთესად გვემართა. ადამიანზე ზრუნვის მიზანმა მოგვცა შესაძლებლობა, რომ სამუშაო ადგილები არ დავკარგოთ და მეტი უნდა შევქმნათ. **ძალიან კარგად გვესმის, რომ დედოფლისწყაროში ბევრია საშრომი. ბევრია საშრომი, რომ პირველ რიგში, წყალმომარაგების პრობლემა მოვაგვაროთ. მთელს საქართველოში ასეა - გზა, წყალმომარაგება და გაზი სოფლად და რეგიონში მცხოვრები ადამიანების პირველადი მოთხოვნაა. ამას წლები არ უნდა დასჭირდეს. ბევრი წელია, ვშრომობთ. გზები შედარებით ნორმალურ მდგომარეობაშია. შიდა სასოფლო გზებია მოსაწესრიგებელი, მაგრამ წყალი ხდება სულ უფრო და უფრო დიდი პრობლემა. დედოფლისწყაროში, ხორნაბუჯსა და სამრეკლოში 2021 წლისთვის 24-საათიანი წყალმომარაგება უზრუნველყოფილი იქნება. საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას ვახორციელებთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა სკოლა, 3000-მდე სკოლიდან, გასარემონტებელია. ასაშენებელია ახალი სკოლები. სამთაწყაროში ახლა აშენდება ახალი სკოლა 300 ბავშვზე, მშენებლობა მთავრდება მაჩხაანშიც. ეს საკმარისი არ არის. მთავარია, რომ იყოს სამართლიანობის შეგრძნება, ადამიანი იყოს დარწმუნებული, რომ არავინ შეეხება ღირსეული შრომით შექმნილ მის სიმდიდრეს და ბარაქას და ყველამ ერთად უნდა მოვუაროთ დედოფლისწყაროსაც და საქართველოსაც. დიდი მადლობა, გამარჯვებას გისურვებთ!“** - განაცხადა გიორგი გახარიამ.

დამსწრე საზოგადოებას ირაკლი ღარიბაშვილმა მიმართა: „მოგესალმებით ჩემო მაგარო კახელებო, მაგარო ქიზიყელებო, დედოფლისწყაროელებო! ჩემთვის ორმაგად ემოციურია დღეს აქ, თქვენთან შეხვედრა. ვინაიდან ჩვენ ვიკრიბებით 8 წლის შემდეგ. ჩვენ ყველამ ერთად ურთულესი არჩევნები გამოვიარეთ 2012 წლის ოქტომბერში. თქვენი თავდადებით, თქვენი თავგანწირვით, ისეთით, როგორიც ქიზიყელებს სჩვევიათ, თქვენი გამბედაობით ჩვენ ყველამ ერთად, ჩვენი პარტიის თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით, ქვეყანას ავარიდეთ სერიოზული, კიდევ უფრო მეტად დიდი განსაცდელი, რომელიც ჩვენს ხალხს შეუქმნიდა უამრავ პრობლემას. ჩვენი საერთო ეროვნული ამოცანა იყო იმ დროს ხელისუფლებიდან ჩამოგვეცილებინა ისეთი დესტრუქციული ძალა, როგორიც იყო ნაცმოძრაობა.

ჩვენ გავიხსენეთ, რომ აგვისტოს ომმა უამრავი ნგრევა და დესტაბილიზაცია მოუტანა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მოსახლეობას. ჩვენ დავკარგეთ 100 ზე მეტი სოფელი, კოდორი, ახალგორი, 10 ათასობით დევნილი მივიღეთ დამატებით ჩვენს ქვეყანაში. დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ გავიხსენეთ აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება. 27 წელი გავიდა მას შემდეგ, მეგობრებო და რა მივიღეთ ამ ომის და უბედურების შედეგად?! მივიღეთ 10 ათასზე მეტი ჩვენი თანამოქალაქის სიკვდილი, ჩვენ ქედს ვიხრით მათ წინაშე, მივიღეთ 300 ათასი დევნილი, რომელიც დღემდე ვერ უბრუნდება საკუთარ საცხოვრებელ სახლს. სამწუხაროდ, ის შეცდომა, უბედურება და განსაცდელი, რომელიც ჩვენ მაშინ ვერ ავიცილეთ თავიდან, 2008 წლის აგვისტოს ომში გაიმეორა ჩვენმა წინა ხელისუფლებამ, სააკაშვილმა. ყველა ის ხელისუფალი, რომელიც ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს თავიდან ვერ აარიდებს ისეთ დიდ განსაცდელს, როგორიც არის ომი, რა თქმა უნდა, არ იმსახურებს არა თუ ხელისუფლებაში დაბრუნებასა და ყოფნას, არამედ პოლიტიკაში დარჩენას. შესაბამისად, მეგობრებო, ახლა ჩვენი საერთო ეროვნული ამოცანა უნდა იყოს ამ დესტრუქციული და დესტაბილიზაციის მთავარი წყაროს, ნაციონალური მოძრაობის მთლიანად


/გაგრძელება გვ.3/



C M Y K

# ახალი სასწავლო ცენტრი დედოფლისწყაროში

***დედოფლისწყროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან ერთად, ბუღალტრული, იურიდიული და აუდიტორული მომსახურების სასწავლო ცენტრის გახსნას დაესწრო.***

პროექტი ნინო იაკობიშვილმა და მარიკა ქაჯაიამ ევროკავშირის დაფინანსებით ENPARD 2- ის პროგრამის ფარგლებში განახორციელეს.

HEKS-EPER-ისა და პარტნიორი ორგანიზაცია „ელკანას“ მიერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მეოთხე წელია **„სამოქალაქო ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისათვის“** პროექტი ხორციელდება, რომელიც LAG-თან ერთად საგრანტო კონკურსებს ატარებს. აღნიშნული პროექტიც სწორედ ამ კონკურსის გამარჯვებულია.

ბუღალტრული, იურიდიული და აუდიტორული მომსახურების სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელთა განცხადებით, ორგანიზაცია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას მოემსახურება. მომსახურებებში შედის:

***ბუღალტრული მომსახურება:**

- ყველა კომერციული, არაკომერციული საბიუჯეტო იურიდიული პირი, ფიზიკური პირი, IV კატეგორიის საწარმო;

***იურიდიული მომსახურება:**

-იურიდიული პირებისთვის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები, წილების გასხვისება;

-სალიკვიდაციო დოკუმენტების მომზადება და მონაწილეობა;

-ონლაინ კონსულტაციები;

***აუდიტის მომსახურება;**

-კერძო იურიდიული და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ფინანსური ანგარიშების აუდიტი;

-ექსპერტ-აუდიტი;

-უძრავი ქონების შეფასების აუდიტი;

***სასწავლო ცენტრი:**

- ბუღალტერიის შესწავლა;

- ბუღალტრებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება;

-საგადასახადო საქმე;

-ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS);

- საბუღალტრო პროგრამები (ORIS, FINA,C1);

-სახელშეკრულებო სამართალი;

-ონლაინ სწავლება;

***კომპიუტერული მომსახურება:**

-დოკუმენტების გასწორება;

-ამობეჭდვა, სკანირება, დისკზე და ჩიპზე ჩაწერა;

-თარგმნა;

მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, ოფისის გახსნა ხელმძღვანელებს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრი კაპანაძემ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დირექტორმა აკაკი ნატროშვილმა, HEKS-EPER-ისა და პარტნიორი ორგანიზაცია „ელკანას“ წარმომადგენლებმა და დამსწრე საზოგადოებამაც მიულოცეს.

ოფისს შეგიძლიათ ესტუმროთ შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, ჰერეთის ქუჩა N35.






# „ფრონტერას“ თანამშრომლების მორიგი აქცია

ნავთობმომპოვებელი კომპანია „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ დედოფლისწყაროს საბადოდან დეკემბერში განთავისუფლებული თანამშრომლები დედოფლისწყაროში 12 აგვისტოს კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ და კომპანიის კუთვნილი, ნედლეულით დატვირთული მანქანა რამდენიმე საათით შეაფერხეს. საპროტესტო აქციები გასულ კვირას მას შემდეგ დაიწყო, რაც „ფრონტერას“ ოპერირების უფლება გაუგრძელდა და მათ საბადოდან ნედლეულის გატანა დაიწყეს. პერმანენტული პროტესტის მიზეზი ყოფილი თანამშრომლების მიმართ კომპანიის 11 თვიანი სახელფასო დავალიანებაა, რომელსაც 84 ნავთობმომპოვებელი ერთ წელზე მეტია, უშედეგოდ ითხოვს. აქციის მონაწილეებთან იმყოფებოდა „ფრონტერას“ დედოფლისწყაროს საბადოს მენეჯერიც. გიგლა ჯანიაშვილმა დავალიანების გასტუმრების კონკრეტული ვადა ვერ დაასახელა. **„არ ვიცი, ვერ გეტყვით, რა ვადაში შეიძლება დავალიანება დაიფაროს“, -** განაცხადა ჯანიაშვილმა.

შეგახსენებთ, საარბიტრაჟო დავა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში საქართველომ „ფრონტერას“ ცოტა ხნის წინ მოუგო. სასამართლომ კომპანიას ძებნა-ძიების ტერიტორიის დაბრუნების, ასევე შესაბამისი თანხების ანაზღაურების ვალდებულება დააკისრა. ფრონტერამ დედოფლისწყაროში მის სარგებლობაში არსებული მიწის მხოლოდ 1% დაიტოვა, დანარჩენი კი სახელმწიფოს დაუბრუნა. აღინიშნა, რომ ტერიტორიის 99%-ს კომპანია წლების მანძილზე არ იყენებდა და მასზე საძიებო სამუშაოებს არ ახორციელებდა. „ფრონტერას“ 84 თანამშრომლის დავალიანება მილიონ ლარს აღწევს. განთავისუფლებულმა თანამშრომლებმა კომპანიას სასამართლოში შვიდი თვის წინ უჩივლეს. გათავისუფლებული თანამშრომლები საპროტესტო აქციებს პერმამენტულად მართავენ. დაზარალებულ თანამშრომლებს პერიოდულად დედოფლისწყაროს მერიაც ეხმარება.

* * *

ეკონომიკის მინისტრმა, ნათია თურნავამ, 6 აგვისტოს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ამერიკულ კომპანია „ფრონტერასთან“ თანამშრომლობის საკითხზე ისაუბრა. გაირკვა, რომ დედოფლისწყაროს საბადოზე დასაქმებული და შემდეგ პროტესტის გამო სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლები საქართველოს მთავრობისგან ერთჯერად ფულად დახმარებას მიიღებენ. თურნავას თქმით, ამჟამად, მთავრობა ფრონტერასთან **„საკმაოდ პოზიტიურ და აქტიურ კომუნიკაციაშია და გარკვეული ტექნიკური საკითხების გასავლელად შეხვედრისთვის ემზადება.”** ამავდროულად, თურნავას თქმით, დიდ პრობლემად რჩება იმ 84 თანამშრომლის სახელფასო დავალიანების საკითხი, რომელიც ფრონტერამ გასული წლის დეკემბერში გაათავისუფლა. **„ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ ეს ადამიანები. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ნავთობისა და გაზის კორპორაციამ ერთჯერადად 1 200 ლარის დახმარება გაუწიოს” -** განაცხადა თურნავამ. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა კომპანიას, შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, რადგანაც დღეს მათი საქმიანობის შემაფერხებელი გარემოებები არ არსებობს.

საქართველოს მთავრობა ამერიკულ ენერგომომპოვებელ კომპანია „ფრონტერასთან“ კონტრაქტს არ წყვეტს და კომპანიას უფლებას აძლევს, საქმიანობა აქამდე არსებული ტერიტორიის 1%-ზე გააგრძელოს. ეკონომიკის სამინისტროს განმარტებით, გადაწყვეტილების მიზეზია ის ზიანი, რაც ამ საქმის გამო მიადგა საქართველოს საინვესტიციო იმიჯს, სხვა შემთხვევაში კი კომპანიასთან კონტრაქტის მთლიანად გაუქმება იგეგმებოდა.

შეგახსენებთ, ამერიკული ნავთობკომპანია „ფრონტერას“ წინააღმდეგ დედოფლისწყაროს საბადოდან გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია 4-5 აგვისტოსაც გამართეს. ისინი 11 თვიანი სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას და სამსახურში აღდგენას მოითხოვენ.



# დავით სონღულაშვილი – დედოფლისწყაროს მაჟორიტარად!

*/დასაწყისი პირველი გვერდიდან /* პოლიტიკური ველიდან გაყვანა. ეს მხოლოდ თქვენი მხარდაჭერით არის შესაძლებელი. სხვა შემთხვევაში არის თუ არა შესაძლებელი, რომ ქვეყანაში დაისადგუროს ერთხელ და სამუდამოდ მშვიდობამ და სტაბილურობამ, ამ დესტრუქციული ძალის არსებობით. მე ვფიქრობ, რომ არა. ისინი მუდმივად ქმნიან დესტაბილიზაციის წყაროებს, ახალ განსაცდელებს ქმნიან ყოველ დღე და, რა თქმა უნდა, ჩვენი საერთო საზრუნავი უნდა იყოს, განვითარება და კეთილდღეობა ჩვენი მოსახლეობის, რომელიც რა თქმა უნდა არ იქნება ჩვენს ქვეყანაში, თუ არ იქნება მშვიდობა, თუ არ იქნება სტაბილურობა და თუ არ იქნება თავისუფლება, მეგობრებო. ის მთავარი მონაპოვარი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა, ჩვენს გუნდთან ერთად, მოიტანა ჩვენთვის, თქვენთვის, ყველასთვის, არის თავისუფლება. მოდით ვთქვათ ყველამ ერთად, ვიყავით თუ არა ჩვენ თავისუფლები 2012 წლამდე, რა თქმა უნდა არ ვიყავით, შესაბამისად, **მთავარი მონაპოვარი ჩვენთვის არის თავისუფლება, მშვიდობა და სტაბილურობა, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს, ეს არის ის მყარი საფუძველი, რომელიც უნდა დაეფუძნოს ჩვენი ქვეყნის გრძელვადიან განვითარებას**, ის, რაზეც პრემიერი საუბრობდა ახლა. ჩვენ ვიცით, რომ უამრავი პრობლემა არსებობს და არსებობდა ჯერ კიდევ ჩვენს ქვეყანაში, იქნება ეს გზა, ინფრასტრუქტურა, განათლება, უმუშევრობა ზოგადად, სიღარიბე, წყალი, რომელიც ყველგან არ არის, რომელიც ბევრ მუნიციპალიტეტში არის პრობლემა და გადაუჭრელი დღემდე. შესაბამისად საერთო ამოცანა არის ის, რომ ჩვენი მთავარი მონაპოვარი გამყარდეს 2020 წლის არჩევნებზე. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ დამაჯერებლად, უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა კანდიდატმა დავით სონღულაშვილმა და ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის შენება. ჩვენ არ უნდა დავუშვათ არავითარი რყევა, ჩვენ გვეყო, საკმარისია ის, რაც დავუშვით. დავუშვით განსაცდელი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომში დატრიალდა ჩვენს ქვეყანაში. დავუშვით უამრავი შუღლი, ურთიერთბრალდებები, შიდა შუღლი, განხეთქილება, ერთმანეთის კვლა, უამრავი კონფლიქტი, უამრავი სამოქალაქო დაპირისპირება. ერთადერთი, კიდევ ვიმეორებ, ადამიანი და მისი გუნდი, რომელიც ამ ყველაფერს განაპირობებს, მშვიდობას, სტაბილურობას, ეს არის ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“, ამიტომ, კიდევ ერთხელ მხარი დავუჭიროთ „ქართულ ოცნებას“ და მხარი დავუჭიროთ დავით სონღულაშვილს.“ - განაცხადა მან.

„მოძალადე და კრიმინალური ძალები ისევ ცდილობენ, დესტაბილიზაციის საშუალებით ხელისუფლებაში რევანშით დაბრუნდნენ - კიდევ ერთხელ ვუთხრათ უარი ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ ძალებს და სათანადო ადგილი მივუჩინოთ მათ, - ამის შესახებ **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” გენერალურმა მდივანმა** კახა კალაძემ განაცხადა. კახა კალაძის თქმით, დედოფლისწყაროში ბევრი გამოწვევაა, თუმცა ბევრია შესაძლებლობა და განვითარების პოტენციალიც. **„დღეს, ჩვენ აქ შევიკრიბეთ ადამიანები, რომლებსაც საერთო ღირებულებები და საერთო მიზნები გვაერთიანებს. „ქართული ოცნება“ ადამიანზე, მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე ორიენტირებული ძალაა, რომელმაც ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა მოიტანა, რომელმაც მოიტანა თავისუფლება და თანაბარი შესაძლებლობები ყველასთვის. „ქართული ოცნება“ ეს არ არის მხოლოდ მმართველი პარტია, „ქართული ოცნება“ ხართ თქვენ, თითოეული თქვენგანი, რომელიც 2012 წლიდან მოყოლებული ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების სადარაჯოზე დგახართ**. ჩვენ, ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით, ყველამ ერთად შევძელით, რომ ავტორიტარული, მოძალადე რეჟიმი ხელისუფლებას ჩამოგვეშორებინა. რეჟიმი, რომელიც ქუჩაში ხოცავდა ახალგაზრდებს, არეკეტებდა ბიზნესს, ახშობდა თავისუფალ სიტყვას, კარგავდა ტერიტორიებს, იპარავდა ხალხის კუთვნილ ბიუჯეტის ფულს და ა.შ. ეს ყველაფერი ჩვენ წარსულს ჩავაბარეთ, თუმცა, მოძალადე და კრიმინალური ძალები ისევ ცდილობენ, არეულობის, დესტაბილიზაციის საშუალებით ხელისუფლებაში რევანშით დაბრუნდნენ. ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა ვუთხრათ უარი ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ ძალებს და სათანადო ადგილი მივუჩინოთ მათ. **დედოფლისწყაროში ბევრი გამოწვევაა, ბევრია შესაძლებლობაც და განვითარების პოტენციალი. ამ გამოწვევების დასაძლევად და განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად საჭიროა, რომ თქვენი მაჟორიტარობის კანდიდატი ღირსეული ადამიანი იყოს.** ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, ჩავატარეთ გამოკითხვები, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს ადამიანი, რომ თქვენთვის, ადგილობრივი მოსახლეობისთვის მისაღები კანდიდატი ყოფილიყო. მითუმეტეს, იცით, რომ წლევანდელი არჩევნები ცოტა განსხვავებული სისტემით ჩატარდება. თუ წინა შემთხვევებში ყველა ქალაქს თავისი წარმომადგენელი ჰყავდა, წელს განსხვავებული რეალობაა, რადგან მხოლოდ 30 მაჟორიტარი კანდიდატი იქნება დასახელებული და მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ ამ ძალიან მნიშვნელოვან არჩევნებში”,-განაცხადა კალაძემ.

როგორც მაჟორიტარობის კანდიდატმა დავით სონღულაშვილმა განაცხადა, ის ბედნიერია, რომ ქართული ოცნების გუნდის წევრია და ყველაფერს გააკეთებს ამ გუნდთან ერთად ქვეყნის აღმშენებლობისთვის. როგორც საქართველოს რიგით მოქალაქეს, როგორც კახეთის შვილს, ყოველთვის გულწრფელად მიხაროდა ის უზარმაზარი ცვლილებები, რომელიც ამ მუნიციპალიტეტში განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ გახლავართ გურჯაანელი მოქმედი მაჟორიტარი, ჩემთვის უცხო არ არის დანარჩენი სამი მუნიციპალიტეტის პრობლემები. ყოველთვის ხელი მეკიდა პულსზე და ვგრძნობ იმ პრობლემებს, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტებს, ჩვენს კახეთს აქვს. რამდენიმე დღე გავიდა, რაც წარმადგინეს თბილისში და მქონდა შესაძლებლობა, შევხვედროდი იმ გუნდს, რომელიც დღეს დედოფლისწყაროშია და მოგვეხაზა ის პრობლემები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია დედოფლისწყაროსთვის. **ამ მუნიციპალიტეტში განხორციელდა უზარმაზარი ცვლილებები: მოწესრიგდა საგზაო და სამედიცინო ინფრასტრუქტურა, რეაბილიტირდა თითქმის ყველა ბაღი და სკოლა, გაზიფიცირდა თითქმის ყველა სოფელი, შეიქმნა არაერთი ახალი რეკრეაციული ზონა.** თამამად შეიძლება ითქვას, რომ დედოფლისწყარო ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმ აღმშენებლობის, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან მიზნად დაისახა და ამ ორიენტირს საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა ჰქვია. ეს, რა თქმა უნდა, უდიდესი დამსახურებაა ირაკლი ღარიბაშვილის, რისთვისაც მადლობა მინდა ამ ყველაფრისთვის გადავუხადო. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ირაკლი შიოლაშვილს, ჩემს კოლეგას, მაჟორიტარ დეპუტატს, რომელიც აქამდე ასე არაჩვეულებრივად უძღვებოდა ამ საქმიანობას. დედოფლისწყაროელები ზუსტად ამიტომ აფასებენ ამ ამაგს. უახლოეს დღეებში, შემდეგი კვირიდან დავიწყებ თითოეულ სოფელში შეხვედრებს. თითოეულ თქვენგანთან მოვალ. თითოეულ პრობლემას გავეცნობი და მზად ვარ, თქვენი პრობლემა მივიტანო ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ვიყო ძალიან დიდი მხარდამჭერი და მყისიერი რეაგირება მოხდეს ამ პრობლემებზე. **ვიცი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა წყალმომარაგებაა. ამ მიმართულებით უკვე დაიწყო საპროექტო სამუშაოები, რომ იორიდან წამოვიდეს წყალი და მომარაგდეს დედოფლისწყარო. ამ პრობლემის გადაწყვეტაშიც, რა თქმა უნდა, თითოეული თქვენგანის გვერდში ვიქნები. ჩვენ ერთად კიდევ ბევრჯერ დაგიმტკიცებთ, რომ ჩვენი უპირველესი საზრუნავი თქვენი კეთილდღეობაა.**

მოსახლეობამ ყველაზე კარგად იცის, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას არ აქვს ალტერნატივა. არ არის სხვა ძალა, რომელიც შეძლებს, ასე გაუძღვეს და ასე მშვიდობიანად განავითაროს ქვეყანა. ამაყი ვარ, რომ ამ გუნდს წარმოვადგენ! **მე, დავით სონღულაშვილი, სიტყვას გაძლევთ, რომ ვიქნები ყოველთვის თქვენს გვერდით და თავდაუზოგავად ვიშრომებ, თითოეული დაპირების შესასრულებლად. ალბათ, სიმბოლურია, წარდგენის დღეს დედოფლისწყაროში წვიმა რომ მოვიდა, იმიტომ, რომ დედოფლისწყაროსთვის წვიმა განსაკუთრებული თემაა და ეს უხვ მოსავალს ნიშნავს. ასეთი კარგი წელი გქონოდეთ დღეის ამას იქით და სულ მუდამ. ჩემო დედოფლისწყაროელებო, ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ! ერთად საქართველოს წარმატებისთვის“,** - განაცხადა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ გურჯაანი - საგარეჯო - სიღნაღი - დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა დავით სონღულაშვილმა.

# „ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის“

**„ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის, ჩვენ გვადარდებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ბედი,“** - ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ახალმა სახელმწიფო მინისტრმა, თეა ახვლედიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია და ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა პრემიერ-მინისტრისა და სამთავრობო გუნდის მიერ გამოცხადებული ნდობა, რისთვისაც მან მადლიერება გამოხატა.

**„უდავოდ დიდი პატივია მოცემული შესაძლებლობა, განვაგრძო ჩემი პროფესიული საქმიანობა ამჯერად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მიმართულებებით და შევძლო წვლილის შეტანა ჩვენი ქვეყნის უმთავრესი ეროვნული პრიორიტეტის განხორციელების საქმეში, შევუერთდე საქართველოს ხელისუფლების და ხალხის ერთობლივ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ, ქართული, ოსური და აფხაზური საზოგადოებების შერიგებისკენ, ისევე როგორც თანასწორობის პრინციპით მთლიანად ჩვენი საზოგადოების კონსოლიდაციისკენ. საქართველოს მთავრობამ გააკეთა ძალიან მტკიცე, მყარი და კარგად გააზრებული არჩევანი, რომელიც არის მდგრადი მშვიდობა და განვითარება. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ახორციელებს კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან, თანმიმდევრულ, პრაგმატულ პოლიტიკას, რომელსაც აქვს სოლიდური საერთაშორისო მხარდაჭერა. ამ პოლიტიკის ერთ-ერთი საყრდენი და პრიორიტეტი კი არის ომით გაყოფილი საზოგადოებების შერიგება, ასევე იმ ადამიანებზე ზრუნვა, რომლებიც ყოველდღიურად განიცდიან მოუგვარებელი კონფლიქტით გამოწვეული შედეგების სიმძიმეს“**, - განაცხადა თეა ახვლედიანმა

მისივე თქმით, ამ თვალსაზრისით გასული წლების განმავლობაში უდიდესი ძალისხმევა განხორციელდა, გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი, მათ შორის უპრეცედენტო ნაბიჯი. ახვლედიანმა ამ კუთხით გამოყო სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“.

**„ჩვენი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც ნამდვილად საქართველოს მთავრობის ხმამაღალი და ღია განაცხადია. კიდევ ერთხელ მინდა დავადასტურო, რომ ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის, ჩვენ გვადარდებს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ბედი და ჩვენ ვართ დაინტერესებული მათი სოციალურ - ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებით და პირდაპირი კონტაქტების დამყარებით. რა თქმა უნდა, ამ კონტექსტში წამოწყებული ინიციატივები უდავოდ გაგრძელდება. ჩვენი მიზანი კი იქნება გავაძლიეროთ ძალისხმევა, განვაგრძოთ მუშაობა შემდგომ უფრო მეტად ქმედით, შედეგზე ორიენტირებულ და ოპტიმალურ გზებზე, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის აღსადგენად. მე მჯერა, რომ არსებობს არსებული გამოწვევების ისეთი გადაწყვეტა, რომელიც აუცილებლად შეეხმიანება როგორც აფხაზური და ოსური, ასევე ქართული საზოგადოებების საერთო ინტერესებს. მე მჯერა, რომ ჩვენ წარმატებით გავართმევთ ამას თავს და ვიპოვით აუცილებლად ამ გზებს. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ეს მისწრაფება მიმართულია მავთულხლართების და ფიზიკური ბარიერებით იზოლირებული მოსახლეობის დეიზოლაციისკენ. ამ პროცესში ჩვენ ვიქნებით ღია დიალოგისთვის, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, მხარდაჭერით და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო და ინტენსიური თანამშრომლობით. ისტორიულად ჩვენი ქვეყანა არის მრავალეთნიკური სახელწმიფო. ამ მიმართულებითაც, რა თქმა უნდა, გვაქვს გარკვეული მიღწევები, პროგრესი, მაგრამ არაერთი გამოწვევაა წინ. იქნება ეს სახელმწიფო ენის შესწავლის თუ**



**სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით. დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში კანონი თანაბარ უფლებას ანიჭებს ყველა მოქალაქეს, იცავს მათ იდენტობას და აუცილებლად განვაგრძობთ ამ კუთხით ჩვენს ინტენსიურ ძალისხმევას, რომ გავზარდოთ ჩართულობა და სამოქალაქო ინტეგრაცია და ერთიანი საზოგადოების კონსოლიდაცია. ამ პროცესში აქტიურად გამოვიყენებ დიპლომატიურ ასპარეზზე ჩემს მიერ დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას,“** - განაცხადა თეა ახვლედიანმა.

# ეს ჩვენი წარსული და დღევანდელობაა...

***ძვირფასო მკითხველო, მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ აწმყოც და მომავალიც წარსულზე დგას. ის, ვინც არ იცის და პატივს არ სცემს თავის წარსულს, ვერ შექმნის სასურველ მომავალს. ამიტომ, გადავწყვიტეთ, დღეს შემოგთავაზოთ ისტორიული წარსული ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლისა, რომელიც ბევრ საინტერესოს და დღემდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობ ფაქტსა და მოვლენაზე მოგვითხრობს, რომელთაგან ზოგი ისტორიული წყაროებითაა გამყარებული, ზოგიც თქმულება-ლეგენდის სახით შემორჩა ადამიანების მეხსიერებას. მიგვაჩნია, რომ მისი გაცნობა არა მხოლოდ ამ სოფლის მცხოვრებთათვის, არამედ, სრულიად მუნიციპალიტეტისთვის არის მნიშვნელოვანი. ნაშრომი ეკუთვნის*** დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტს, მუზეუმის ღვაწლმოსილ მუშაკს, ისტორიკოს **ლალი ბასილაშვილს**, ***რომელიც მან წარმოადგინა მუზეუმების დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე და ჩვენი და იქ დამსწრე საზოგადოების გამორჩეული ინტერესი გამოიწვია. მაშ ასე, ქვემოთ გთავაზობთ სტატიას სოფელ ოზაანის შესახებ.***

## სოფლის დაარსება

სოფელი ოზაანი მდებარეობს გომბორის ქედის სამხრეთ აღმოსავლეთ დაბლობზე. მას დასავლეთიდან ესაზღვრება გედიქის ხევი (გედიქი-ორ ხევს ნიშნავს), სამხრეთიდან სოფელზე გადის სამხედრო გზა, რომლის ორივე მხარეს საცხოვრებელი სახლებია განლაგებული. ქ. დედოფლისწყარომდე 18 კილომეტრია, წნორიდან - 12 კილომეტრი. არსებობს ასეთი თქმულება: „უძველეს დროს ამ ადგილას მოსულა ვინმე ოზა - სოფლის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. ახლანდელი ოზაანელების წინაპრებს უცხოვრიათ ჭოეთში - („ხორნაბუჯის“ ციხის ირგვლივ ციხე-ქალაქის დასავლეთ ადგილს დღესაც „საოზაანოს“ უწოდებენ, საინტერესოა ისიც, რომ აქ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა წინაქრისტიანული ხანის ნამოსახლარები). პირველად ოზა და მისიანები შემოსეულ მტერს გამოქცევიან და სოფლების ქვემო მაჩხაანსა და ფანიაანს შორის მდებარე ტერიტორიაზე დასახლებულან. ოზა სოფლის მამასახლისი ყოფილა, მას ჩხუბი მოსვლია და კაცი შემოკვდომია, რის გამოც თავისი მომხრეებით კვლავ გაქცეულან, შემოჰყოლიან გედიქის ხევს და ახლანდელი „ნაქოხრების“ ტერიტორიაზე დამკვიდრებულან. აქედან თურმე კარგად იზვერებოდა მტრის შემოსევა სოფელში და ხალხი დროულად შველოდა თავს. შემოსევების დროს ოზაანელები სამების და ამაღლების ტყეებს აფარებდნენ თავს. საერთოდ, ქიზიყის სოფლები ულრანი ტყეებით იყო დაცული. ამიტომაცაა, რომ „ამაღლების“ ეკლესია ასეთი შეუმუსრავი შემოგვინახა ისტორიამ. ტყითა და მდელოებით მდიდარ ახალ ადგილზე ოზას ცხოვრება კარგად აწყობილა. აუშენებია სახლი, გაუმრავლებია საქონელი, გაუმართავს გუთანი. გამდიდრებულ ოზას მეხრე აუყვანია, რომლისთვისაც თავისი საქონლის მწყემსვა მიუნდვია. დროთა განმავლობაში ხალხი მომრავლებულა. ოზას შთამომავლები ოზაშვილები გამხდარან, მეხრის შვილები კი - მეხრიშვილები. დღეს, სოფელში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარებია ოზაშვილი და მეხრიშვილი. ოზაანის ბოლოს ერთ დიდ ქოხში უცხოვრია რამოდენიმე ოჯახს ერთად. ყველა სამუშაოდ წასულა, პატარა ბავშვის გარდა. ჭერზე ჩამოკიდებული ჰქონიათ კერძის (საჭმლის) ქვაბი. ჭერიდან გველი ჩამოსულა და ქვაბში ჩავარდნილა. სამუშაოდან დაბრუნებული უფროსებისთვის ბავშვს უთქვამს, რომ ქვაბში ჭია ჩავარდაო. მათ ყური არ უთხოვებიათ ბავშვის სიტყვებისთვის. ვისაც საჭმელი უჭამია, ყველა დახოცილა, დაობლებული ბავშვი სოფელში მოსიარულე „მეყაჭე“ კაცს უშვილებია და ყაჭაშვილად დაუწერია.

პროფესორ ლევან ჭილაშვილის ვარაუდით ოზაანი-ზანების სამოსახლოს ნიშნავს. ზანები-ჭანები კი უნდა დამკვიდრებულიყვნენ დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ) დროს ჰერეთში დასავლურ-ქართული ეთნიკური მიგრაციის შედეგად.

## ისტორიული ძეგლები

ოზაანი ძველი სოფელი ყოფილა, ამაზე მისი ისტორიული ძეგლები მეტყველებენ. ეს კულტურის ძეგლები - ხალხის შემოქმედებითი აზრის, მისი დიდი ისტორიული წარსულის ცოცხალ მოწმეებად გვევლინებიან.

**სამების ტაძარი** - ისტორიული წყაროებით XVI საუკუნით თარიღდება. იგი ნაშენებია აგურით და გადახურულია კრამიტით. ეკლესია მოხატული ყოფილა ფრესკებით. ახლა მხოლოდ მათი ფრაგმენტებილაა შემორჩენილი. აქვე ყოფილა მარიამ ღვთისმშობლის, წმ. გიორგის(თელეთის) ხატი და სხვა ძვირფასეულობანი. აქ დღესაც შემორჩენილია საკურთხეველი. ეკლესიის გარშემო 16 ქვევრია, ამიტომაც, ამ ადგილს, სადაც სამების ეკლესიაა, სამების მარანსაც უწოდებენ.

**ყველაწმინდა** - XVII საუკუნის ძეგლია. ფრესკები აღარ ჩანს კედლებზე. ეკლესიის საშენ მასალად გამოყენებულია ქვა, რომელიც გედიქის ხევიდან ამოჰქონდათ და აგური, რომელიც ამავე სოფლის აგურის ქარხანაში იწვებოდა. გამოყენებულია კირი, კრამიტი, რომლითაც გადახურულია იგი. დღეისათვის მისი კედლები ავარიულია.

**წმ.სტეფანე** - ეს ისტორიული ძეგლი, მკვლევართა აზრით, XVII საუკუნეში აუშენებიათ. უფრო გვიანდელია ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი, ხოლო დასავლეთი ნაწილი შემდგომ პერიოდშია მიშენებული. ნაშენებია ქვით, კირით, აგურით. გადახურულია კრამიტით. შემორჩენილია მხატვრობის გაურკვეველი ფრაგმენტები. ეკლესიის ჭერი ლამაზად ყოფილა მოხატული. დღეის მდგომარეობით ამ შემკულობიდან აღარაფერია შემორჩენილი. ეკლესიის ყოფილი მღვდელი არჩილ თათარაშვილი ამავე ეკლესიის ეზოშია დასაფლავებული. წმ.სტეფანეს ზარი ხირსის მონასტერში გადაუტანიათ. ეკლესიას შემოვლებული ჰქონია გალავანი, მაგრამ საბჭოთა პერიოდში, საავტომობილო გზის გაყვანასთან დაკავშირებით, ეს გალავანი თანდათან დაუნგრევიათ. აქ კოლმეურნეობას საწყობიც ჰქონია. დღეს „წმ.სტეფავნეს“ ეკლესიამ თავისი ფუნქცია დაიბრუნა.

**ცლუნკაანის „ყველაწმინდა“** - ეს სოფელი, რომელიც ახლა სოფ. ოზაანში შედის, ერთ დროს დიდი სოფელი ყოფილა. ამას მოწმობს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს სოფელი „სულუკანაა“ - მის აქეთ სოფლები XIII საუკუნეში მონღოლთა ურდოებმა ისე ააოხრეს, რომ მთლიანად განადგურდა. ეს ეკლესია XVII საუკუნის ისტორიული ძეგლია, გადმოცემით იგი ღვთისმშობლის სახელობისაა. აქ 2005 წლის 2 დეკემბერს განახლდა წირვა-ლოცვა და დღეს სოფლის მოქმედი ეკლესიაა. სოფლის მოსახლეობის შემოწირულობით მოხერხდა მისი რესტავრაცია, შეძენილია ყველა ნივთი, რომელიც ღვთისმსახურებისათვის არის საჭირო. ეს ყველაფერი მამა ლევანის (იაკობიშვილის) დამსახურებაა.

სოფელი ამაყია იმით, რომ აქ მდებარეობს **„ამაღლების“** ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძარი. იგი მნიშვნელოვანი საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლია და აგებულია IX-X საუკუნეებში. დავით ინანიშვილი- ვახუშტი ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის -ერთ-ერთი გადამწერი, 1861 წელს, ქიზიყის აღწერისას, უმატებს, რომ „ხორნაბუჯის“ ჩრდილოეთით მთაში არს ეკლესია „ამაღლებისა“ კეთილშვენიერი ნაგები, გუმბათიანი, შეუმუსრავი და დახატული“. კედლებსა და თაღზე შემონახული ფერწერული ნიმუშები შესრულების მანერით ძალზე ჰგვანან ყინწვისისა და ვარძიის( XII-XIII სს) ეკლესიების ფრესკებს და მხატვრულობით არ ჩამოუვარდება მათ. ეკლესიას ეტყობა ალექსანდრე კახთა მეფის XVI საუკუნის დროინდელი გადაკეთების კვალი.

1898 წელს გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონიმით „ა.ნ“-მკვლევარი და პუბლიცისტი ანტონ ნატროშვილი (წარმოშობით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ.ზემო მაჩხაანიდან) წერდა: „საჭიროა აღდგენა და განახლება დიდებულისა „წმინდა ამაღლების“ მონასტრისა, რომელშიც ჯერ კიდევ კარგად დაცულიაა თამარ დედოფლისა და დავით სოსლანის სურათები კედელზედ“. ანტონ ნატროშვილი მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება იყო. იგი დაინტერესებული ყოფილა საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევით. ფეხით მოვლილი და თავისი თვალით ნანახი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ „ქიზიყის“ არქიტექტურული ძეგლები, მათში დაცული იკონოგრაფიული სიძველეები. ამიტომ, მისი მოსაზრება, რომ „ამაღლების“ ეკლესიის კედლებზე გამოსახულია თამარის ფრესკა, სინამდვილეს შეეფერება (სამწუხაროდ, დღეს ბათქაშის ის ნაწილი, ჩამოშლილია).

ისტორიულ-მეცნიერებათა კანდიდატი ლოვარდი ტუხაშვილი წერდა: „ამაღლება“ ქართული არქიტექტურის უბრწყინვალესი ძეგლია. საინტერესოა, რა ეწოდებოდა ადგილს, ვიდრე იქ აიგებოდა „ამაღლების“ სახელობის ტაძარი? ადგილობრივი მოსახლეობა რამდენიმე სახელით მოიხსენიებს: „რჯულისთავი“, ხოდაბუნი“, „ყუდრო“, „ზვარე“, „ვაკე“, „ვანანი“. ჩვენი აზრით ორი უკანასკნელი დასახელება, ასე თუ ისე, მიგვანიშნებს ტაძრის ნამდვილ სახელწოდებაზე“.

კახეთის ეკლესია-მონასტრების შესახებ რამოდენიმე აღწერა დაგვიტოვეს იტალიელმა მისიონერებმა. ერთ-ერთ აღწერაში ვკითხულობთ, რომ ქიზიყში არსებობს „ამაღლების“ საყდარი, სადაც ზის ეპისკოპოსი ვანანელი, მაშასადამე, „ამაღლების“ ტაძარს ერქვა „ვანანის“ ამაღლების სახელობის ტაძარი. ტოპონიმი „ვანანი“ შემორჩა ადგილობრივთა მიერ დამახინჯებული ფორმით „ვანაანი“. დღეს იგი ეწოდება მხოლოდ მიმდებარე ტყეს. რით უნდა აიხსნას, რომ სოფლის სახელწოდება, სადაც „ამაღლების“ ეკლესია აშენდა, დაკარგულია? ალბათ, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში მოსახლეობის კატასტროფული შემცირებით. რაც შეეხება მის ახლომდებარე სოფლებს, ოზაანსა და ცლუნკაანს, ისინი აქ დასახლდნენ შედარებით მოგვიანებით. ნაწილი მოვიდა მეზობელი სოფლებიდან, განსაკუთრებით




მირზაანიდან, ნაწილი კი გადმოსახლდა ქვემო ქართლიდან. მათი ცალკე სოფლებად ფორმირება უნდა მომხდარიყო მე-17, მე-18სს მიჯნაზე, ქართლში ერეკლე პირველი მეფობის დროს.

## ლეგენდები გვიამბობენ

ერთი ლეგენდა გვამცნობს, რომ: „ქიზიყის სოფლები-მირზაანი და ოზაანი, ოდესღაც ერთი დიდი დაბა ყოფილა, შემდეგ გაყოფილა.მირზაანს „მირტაზანი“ რქმევია. ამ ისტორიულ სოფლებს ბევრი რამ აქვს საამაყო. უპირველესად ის, რომ მირზაანი არის მშობელი დიდი ნიკო ფიროსმანაშვილისა, ხოლო ოზაანელად რაცხენ XII საუკუნის ცნობილ ფრესკის მწერალ მიქაელს, რომელსაც მოუხატავს ამავე სოფლის ამაღლების ტაძარი. განვაგრძობთ ლეგენდას: (საერთოდ ლეგენდებში, მითებში, თქმულებებში აღწერილი ამბები ოდესღაც მოხდა და კაცობრიობის მეხსიერებას შემორჩა, მასში არის ჭეშმარიტების მარცვალი). კამბეჩოვან ქიზიყს ორგზის სწვევია თამარი. ალაზნისპირეთში ირმის ჯოგი მოუნახულებია, ივრისპირეთში ქურციკისთვის უკოცნია, ნინოს საფლავთან დაუჩოქია, წმ. ელიასთვის ოქროს ქოში შეუწირავს, ხორნაბუჯის ზესთა კოშკზე ასულა, ფეხით გამოჰყოლია ციცაბო ბილიკებს და საღამოს მისდგომია ტაძარს. მიქაელი ხარაჩოზე მდგარა, ჩაბნელებული კედლის ქვემოდან სხივს რომ მიუშუქებია, ელდისგან ჩამოვარდნილა. თამარი ხომ მკურნალიც იყო, საკუთარი ხელით შეზელილი მალამო უცხია, რიდე მოუხსნია და შეუკრავს ნაღრძობი მხარი. ერთი მსგეფსი (7 დღე) დასჭირდა მხატვრის გამოკეთებას. შიშით უცქერდა თამარისეულ რიდეს მხატვარი. 1191 წელს აფთართა სიავით შემოჭრილა ქიზიყში განჯის ლაშქარი, გიორგი რუსის წინამძღოლობით. იმ ბედნიერ დროს, მხატვრებს ომში არ იწვევდნენ. მოულოდნელი იყო მტრის შემოსვლა და ხორნაბუჯის ერისთავთ-ერისთავმა საღირ მახატელისძემაც „ქუდზე კაცი გამოითხოვა“. შემოიხვია მიქაელმა რიდე, მარცხენათი აილო მახვილი, მარჯვენის წაბილწვა არ უნდოდა. დააცხრნენ თურქებს ქართველები. 5-ჯერ მეტი იყო მომხვდური, მაინც გასჭრა თამარის სვემ, დაჯაბნეს მტერი. პირისპირ დადგნენ მხატვარი და ქართველთა სიძე-ყოფილი. გზა უტია ქართველმა, მტრად კი მოსულიყო იური - გიორგი, მაინც თამარის ნაქმრევი იყო, ვერ აკადრა ბრძოლა. იცნო სამეფო რიდე რიურიკოვიჩმა, ჩამოათალა მარცხენა ხელი. გამწარდა მხატვარი, მარჯვენათი აიტაცა მახვილი, დაეწია (ვითომ მეფეს), გააპო მკერდამდის. მატიანეში წერია, „რუსი სადღაც გადაიხვეწაო“. არაო, ამბობენ ქიზიყელები, ხირსის წყალს დავაკალითო თამარის მოღალატე. დაზარალდა მიქაელი, ველარსად მიაგნო სამეფო რიდეს. დაკრძალა საკუთარი მარცხენა ხელი, ხოლო მარჯვენათი ისევ ხატვა დაიწყო. ოღონდ ისე აღარ გამოუდიოდა. მიატოვა ხატვა მიქაელმა. გავიდა დრო, მეორეჯერ ეწვია თამარი კამბეჩოვანს ალაზნის არხის კურთხევის დღისთვის. გარინდებული გასცქეროდა ტყიდან ყოფილი მხატვარი სამეფო სპას და მოხდა სასწაული. მსუბუქმა ქარმა წამოუქროლა, საიდანღაც აიტაცა დაკარგული რიდე, თამარს შემოუარა, თითქოს გაწმენდილი უკუიქცა, გამოეკიდნენ, მაგრამ ამაოდ სდიეს. იფრინა რიდემ. დაეშვა მიქაელთან, შემოეხვია მარჯვენა ხელზე, კვლავ მოჰკიდა ხელი ყალამს, აღარც საჭმელი ახსოვდა, აღარც სასმელი, აღარც სიცხე აწუხებდა, არც სიცივე. დაეუფლა „შური საღმრთოი“.

ერთხელაც აენთო საგანგაშო კოცონები კამბეჩოვანის ციხე-სიმაგრეებზე. აგუგუნდა ეკლესიის ზარები. არც მტერი შემოჭრილა, არც აზნაურებს მოუწყვიათ ამბოხი. იდგა 1207 წელი, იანვრის 18, დღე ოთხშაბათი. ტაბახმელას აღესრულა მეფით მეფე თამარი. შავი ჩაიცვა მიქაელ მხატვარმა, თავშიშველმა შელამებისას მირზაანს მოაღწია, მცირე ალავერდის ტაძართან კი სიკვდილმა უწია. მდუმარედ დაფლეს მხატვარი, ყოველი ქართველი თამარს გლოვობდა, მძიმედ დახრილიყო სამეფო დროშა გორგასალიან დავითიანი. მხოლოდ ეს შენიშნა მღვდელმა საფლავში ჩასვენებისას. სუსხიანმა სიომ მოხსნა რიდე ცალხელა მხატვარს და საკურთხეველზე დაასვენა. დასწვდა მღვდელი რიდეს. უცებ ციური ხმა ჩაესმა: „აიღე და შეეწირეო“. ცივად გაუშვა ხელი მღვდელმა. აფრინდა რიდე, გაუჩინარდა და აი, შვიდი ასეული წლის შემდეგ ისევ გამოჩნდა რიდე. ერთხანს იფრინა და ღარიბი გლეხის ეზოში მოთამაშე ბიჭუნას შემოეხვია. გამხდარი იყო ბიჭი, მაღალი, ღრმად მეტყველი თვალები ჰქონდა, მეოცნებე, შუბლზე ღვთიური ნიშანი ეტყობოდა. გაუხარდა ბიჭუნას, მოჰკიდა ხელი რიდეს და ჩაესმა ჩურჩულით ნათქვამი: „აიღე და შეეწირეო“. არ შეშინებია ბიჭუნას, თავი ასწია მშვიდად და... ცას გაუღიმა. ასე იშვა საქართველოს და ქიზიყის სავიზიტო ბარათი ფიროსმანი.

## ფიროსმანი და ოზაანი

ზეპირი გადმოცემის გარდა, რომ ნიკო ფიროსმანაშვილს სოფელ ოზაანთან სიახლოვე ჰქონდა, ადასტურებს 2010 წელს აღმოჩენილი არტეფაქტი - ერთ-ერთი სახლის მარნის კარების წარწერა, რომელიც მხატვრის ხელწერას მიანიშნებს. მუხის ორფრთიან კარებზე ასეთი წარწერაა ლექსად:

**„ღვინოს ვინ დაიწუნებს, ჩვენი ზიარებაა,**
**ზოგჯერ მალით გვასმევენ, ზოგჯერ გვენატრებაო,**
**ვაი, რა მეაფსუსები, სავსე ტიკო ღვინითა,**
**მაჰმადიანი არ მოგიგონებს თუ ფლავი უდგა სინითა“**

სარეკლამო სახით შესრულებული წინადადება (ლექსი), ასახავს ღვინის მიმართ იმ დროინდელ ტრადიციულად მიღებულ კულტურას:

**„წითელი ღვინის მარანი სავსე ვარ ღვინით,**
**თამადა ამაირჩიეთ, ავამსო ლხინით“.**

კარებზე ფერი შესრულებულია ძველი მხატვრობის ტექნოლოგიით, ზეთით და ტემპერით. კარებზე წინადადება - ხელნაწერი, საკუთარი ხელწერის მქონე, შემოქმედი ადამიანის მიერ არის დაწერილი. წინადადების დაბოლოებას ასრულებს დეკორატიული ელემენტი ფრინველის სახით, რომელიც ხშირად აქვს გამოყენებული ნიკო ფიროსმანაშვილს თავის ნამუშევრებში. ნიკო ფიროსმანაშვილი (1862-1916 წწ) დაიბადა და ცხოვრობდა სოფელ მირზაანში. მისი დის შვილი გათხოვილი იყო ოზაანში. ამ ორ სოფელს ერთმანეთისგან ჰყოფს გედიქის ხევი. ამიტომ მათ შორის ხშირი იყო ნათესაობა-მეგობრობა და ურთიერთ მიმოსვლა. გარდა გზატკეცილისა ამ ორ სოფელს შორის მოკლე ბილიკებიც არსებობდა, რაც მათ უადვილებდა ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას. ნიკალა ხშირად ესწრებოდა ოზაანში საზეიმო დღეობებს. ნიკო ფიროსმანის მუზეუმში დაცულია მხატვრის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო ლექსად, რომელიც ერთ-ერთი ახლობლის ძეობაში წარმოთქვა. ამდენად, ნიკო ფიროსმანაშვილის ოზაანში ხშირად ყოფნა ეჭვს არ იწვევს. ასეთი კარები და აქ გამოყენებული ლურსმნები, თავისი ფორმით, მე-19 საუკუნეში იხმარებოდა.

ჟამთა სიავე ვერ მოერია ხელოვნებას. ამაღლების ეკლესიის კედლებზე შენარჩუნებული ფრესკები განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენენ. სამწუხაროდ, საიდუმლოებად რჩება მრავალრიცხოვანი გამოსახულების შინაარსი. ვინ არიან მიქაელ მხატვრის დამკვეთები, ვინ აისახა ცალკეულ თუ ჯგუფურ პორტრეტებში, ვისი მეტყველი თვალები გვიცქერენ ფერადოვანი კედლებიდან, რა გვარს, რა სახელს, რა წოდებას ატარებენ ეს მშვენიერი ქალბატონები და მამაკაცები.

*/გაგრძელება გვ.5/*

# ეს ჩვენი წარსული და დღევანდელობაა...

/დასაწყისი გვ.4/

ალბათ, ხორნაბუჯის ზვიადი ერისთავთ-ერისთავების, მახატლისძეების ერთი-ორი თაობა მოგვჩერებია შუა საუკუნეების სიღრმიდან. რომელია მათ შორის უმამაცესი, საღირ მახატლისძე, ან მოხუცებულობაში გამწარებული ბერი ხორნაბუჯელი, მუდამ შფოთიანი ვაჩე ბერი გურგენიძე, ბერქა ყაენის ცხენთაგან გასრესილი შეუპოვარი შალვა ბერის ძე? რომელ საგვარეულოებს ეკუთვნიან ეს მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბანოვანები? ამბობენ: კრძალვით ელდანაცემი გაოგნებით აკვირდებოდა ჭაბუკი ნიკალა მშობლიური წინაპრის ყალმით ნამოქმედარსო.

## საბჭოთა პერიოდი

მე-13 საუკუნის შემდგომ როგორ განვითარდა ამ სოფლის ისტორია, ჩვენ არ ვიცით. მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა საქართველოში, სოფელ ოზაანშიც დაიწყო საკოლმეურნეო მშენებლობა. საკოლმეურნეო მშენებლობა ოზაანსა და ცლუნკაანში, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაიშალა. 1931 წელს ეს არტელები გადაკეთდა კოლმეურნეობებად, კერძოდ, ასეთი სახელწოდებებით: „კულაკთა რისხვა“, „შრომის მოყვარე“ და „აღმაშენებელი“. 1950 წელს ეს ორი კოლმეურნეობა გაერთიანდა და შეიქმნა სოფელ ოზაანის კოლმეურნეობა. 1955 წლამდე ორივე სოფელი შედიოდა სოფელ მირზაანის სასოფლო საბჭოში, ხოლო შემდეგ არბოშიკის სასოფლო საბჭოში. 1967 წელს თვით ოზაანში შეიქმნა სასოფლო საბჭო. 1926-27 წელს, წერა-კითხვის საყოველთაო სწავლებისათვის, შეიქმნა დაწყებითი ორკლასიანი სკოლები, სოფელ ოზაანსა და ცლუნკაანში. 1951-52 წლებში ეს სკოლები შეერთდა და ოზაანის რვაწლიან სკოლად გადაკეთდა.

1928 წელს კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე იყო ალექსი გეგენას ძე ფოცხვერაშვილი. ის გვიამბობს: „ჩემი ყმაწვილბიჭობა მოჯამაგირეობაში გავატარე. მოჯამაგირედ ვიყავი სოფელ არხილოსკალოშიც. თავის გამოსაკვებად ყმაწვილობიდანვე ხელისგულებზე, მუშაობისგან ტყავი მქონდა გადამძვრალი. სოფლის ცენტრში ახალგაზრდები იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. ერთხელ, ზაქრო ქუმსიაშვილმა მითხრა: შენ გაგებული კაცი ხარ, რაღაც ახალი წამოწყება, არტელები, იქმნება, შენც ითავე და ჩამოაყალიბე ჩვენს სოფელშიო და ჩვენც მხარში ამოგიდგებითო. მეც ჭკვაში დამიჯდა“. ენერგიულმა ახალგაზრდამ, სოფელ ცლუნკაანში კარდაკარ დაიწყო სიარული და აგიტაციის ჩატარება. „კულაკები“ და შეძლებული გლეხობა იმდენად ძლიერი იყო რომ, მათი შიშით ეკონომიურად დაბეჩავებული გლეხობა პირველად მერყეობდა არტელის ჩამოყალიბებაზე. დიდი აგიტაციის შემდეგ, 13-მა ახალგაზრდამ მხარი დაუჭირა და 1928 წლის გაზაფხულზე ჩამოაყალიბეს კოლექტივი, რომელსაც ეწოდა „გამჭრიახი“. მისი დამტკიცება კი მოხდა სიღნაღის მაზრის უფროსის ივანე მჭედლიშვილის მიერ.

გაზაფხული კარზე იყო მომდგარი, საჭირო იყო მიწის დამუშავება. რით უნდა მოეხნათ და რა უნდა დაეთესათ, არაფერი გააჩნდათ. სათესლე ხორბალი 200 ფუთი (3,200 კგ) შირაქის მეურნეობიდან ისესხეს. ტრაქტორი კი თავისი ტრაქტორისტით წნორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურიდან მოიყვანეს. ბედმა გაუღიმა ღარიბებს, კარგი მოსავალი მოვიდა, ხელით მომკეს და გალეწეს (დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება და ექსპოზიციაშია გამოფენილი ხორბლის მოსამკელი და გასალეწი იარაღები - ნამგალი და კევრი). ხორბალი წევრებს დაურიგეს, ნაწილი კი სათესლედ შეინახეს (ვალი არ გადაუხდიათ). ხალხს მოეწონა ასეთი ვითარება და აგიტაციის გარეშე შედიოდნენ კოლექტივში. მუშაობაში დიდი წინააღმდეგობები ხვდებოდა, კულაკები სიკვდილით ემუქრებოდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ საკოლმეურნეო ქონებას, დაუნდობლად ხოცავდნენ პირუტყვს, ხორბალს ორმოებში ყრიდნენ და ალპობდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი განაკულაკა. ამან უფრო გაამწარა ისინი. ზოგმა იარაღი აიღო ხელში და ტყეს შეაფარა თავი. მოწინავე ახალგაზრდებისგან და კოლმეურნეობის წევრებისგან იქმნებოდა მებრძოლი რაზმები, რომლებიც მორიგეობით დარაჯობდნენ კოლმეურნეობის ქონებას. 1930-იან წლებში მოხდა განკულაკება, გლეხებს ჩამოერთვათ გამწევი და მეწველი საქონელი. 1931 წელს სოფელ ოზაანში იყო მეორე არტელიც „სოციალიზმის გზა“, რომლის თავმჯდომარეც იყო რაიონიდან მომაგრებული პირი. 1950 წელს ეს ორი ცლუნკაანი და ოზაანი გაერთიანდა და შეიქმნა სოფელ ოზაანის კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარე იყო სოლომონ ჩალახეშაშვილი.

## სამამულო ომი

მეორე მსოფლიო ომი, რომელსაც სამამულო ომი (1941-1945 წწ) უწოდა საბჭოთა ხალხმა, ამ სოფლებსაც შეეხო. ოზაანიდან და ცლუნკაანიდანაც გაიწვიეს ახალგაზრდობა სამშობლოს მიწა-წყლის დასაცავად ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. ომში წავიდა 300 კაცი, ვერ დაბრუნდა 136, 53 კაცი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ეს მონაცემები ამოღებულია კომისარიატის არქივებიდან. მათ საპატივცემულოდ სოფელ ოზაანში 1977 წელს აშენდა შინმოუსვლელთა ობელისკი.

ჩვენ გაგაცნობთ ერთ გახმაურებულ ამბავს, რომელიც 2015 წელს მოხდა და ეხება უგზო-უკვლოდ დაკარგულ დავით ჩალახეშაშვილს. ის 73 წელი იწვა ვოლგოგრადის ოლქის ხუტორ ბუერაკ-პოპოვსკის მიწაში. ის 20 წლის იყო ახლადშერთული ფეხმძიმე ცოლი რომ დატოვა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. 1942 წლის 11 იანვარი იდგა. დავითმა კარი გაიხურა. წავიდა და წავიდა. 1942 წლის ივლისიდან შეწყდა მისი წერილები. 1947 წელს კი მოვიდა ცნობა მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ. დავითს შეეძინა ვაჟი, რომლის ნახვაც მას არ ეღირსა. დავით ჩალახეშაშვილის ნეშტის პოვნის თაობაზე გავრცელებულმა ინფორმაციამ ააღელვა ოჯახი, რომ 2015 წლის 24 ივლისს ხუტორ ბუერაკ-პოპოვსკის მახლობლად სამძებრო ჯგუფის „წითელ არმიელის“ წევრებმა და იტალიელმა სტუმარმა, კრისტიან ჩივეტამ, აღმოაჩინეს ორი მებრძოლის ნეშტი, შინელის და ჩექმის ნაწილები და პირადი ნივთები: ფანქარი, წერილის ფრაგმენტები, გახუნებული ჩანაწერების წიგნაკი. დადგინდა, რომ ერთ-ერთი მათგანი დავით ჩალახეშაშვილია. ის სტალინგრადის დაცვის მონაწილეა და წარდგენილი იყო საბრძოლო ჯილდოზე. ოჯახის და საქართველოს ვეტერანთა ორგანიზაციის თაოსნობით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა თანადგომით, მარად ახალგაზრდად დარჩენილი ჯარისკაცის ნეშტი დაუბრუნდა მშობლიურ მიწას და საბრძოლო პატივით დაიკრძალა ოზაანის შინმოუსვლელთა ობელისკის ტერიტორიაზე (ამის შესახებ ვრცელი მასალა დაიბეჭდა რაიონულ გაზეთ „შირაქში“).

ქართველი კაცის ბუნებას საუკუნეთა მანძილზე შეესისხლხორცა შრომა და სიმღერა. ქართული ჰანგები ხელი ხელს საგოგმანებელი ხდებოდა და საუკუნეთა სიმრავლეს უძლებდა. ზეპირსიტყვიერებაში მრავალი მარგალიტი ინახება, რომელთა გამომზეურება სახალხო მთქმელების მიერ ჩონგურის და სალამურის მეშვეობით ხდებოდა. ხალხური შემოქმედება ხომ შეულამაზებლად, თავისი პრიმიტიული სახით ლაღად გადმოიცებოდა.

ოზაანელია ჩონგურზე საკუთარი სიმღერების შემსრულებელი მწყემსი, მოლექსე მოსე ქურხულიშვილი. დაიბადა 1907 წელს, უწიგნურობამ ძალიან აწვალა და დატანჯა: „ერთი წერა კითხვა ვიცოდე, რასაც გულიდან წამოვიძახებდი, ჩავიწერდიო“ - ნატრობდა. სწორედ გულიდან ამოძახილ ლექსებს ამღერებდა ჩონგურზე თითქმის ორი ათეული წელი. იგი მონაწილე იყო რამდენიმე ხალხური შემოქმედებითი ოლიმპიადისა და საღამოები ჰქონდა გამართული საქართველოს თითქმის ყველა რაიონში. მის დამსახურებაზე მეტყველებს თეატრალური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკის ბარბარე ნიკოლაიშვილის წერილი, რომელიც მისწერა სახალხო მთქმელს: „პატივცემულო, მოსე ვანოს ძე ქურხულიშვილო. თბილისის სახალხო შემოქმედების სახლიდან შევიტყვე რომ თქვენ ხალხური მოლექსე ბრძანდებით, როგორც ქართული ხალხური ნიმუში მესაჭიროება ვიცნობდე თქვენს გამოთქმას. გთხოვთ, მობრძანდეთ, რომ თქვენი გამოთქმა ჩავწერო რადიო-ფირზე მაგნიტაფონის მეშვეობით“. უბრალო მეცხვარეს კი ამბიციები არ ამოძრავებდა. როდესაც ამწვანებულ ფერდობზე თეთრი ქარავანი გაიშლებოდა, მოსე ქურხულიშვილი კომბალს მხარზე გაიდებდა და ტკბილად ააკვნესებდა სალამურს. მოსე ქურხულიშვილის ლექსები პრიმიტიულია, მისი პოეზია მშრომელი გლეხისა თუ მწყემსის ბედშავ ყოფაზეა აგებული. მის ლექსში „მწყემსი ვარ ველად დავდივარ“ - ზუსტადაა გამოხატული მისი სულიერი სამყარო და ის გრძნობები, რომელიც მუდამ თან ახლავს ხალხური პოეზიის გულწრფელობას:

**„არც ფანდური მაქვს არც სტვირი,**
**რა უნდა დავაწკრიალო,**
**მწყემსი ვარ ველად დავდივარ,**
**მთა-ბარში დავხეტიალობ.**
**ხან მთაში დავალ, ხან ბარში,**
**ნიავივითა ვტრიალობ,**
**საწველ ცხვარს დავდევ მრუდგორში,**



**დავალ ხევებში ვხმიანობ.**
**აქეთ იქიდან კლდეები,**
**თან წყარო ჩამოჩხრიალობს,**
**ხან ნიავს მოსცემს საამო,**
**გული ნავარდობს მზიანობს.**
**აუვავდი ყველა ბალახო,**
**ქვარცხო, სამყურავ, კვლიავო,**
**შენ გამისუქე ცხვარ-თოხლი,**
**წელ გამართულმა ვიარო“.**

დიდი ილია ამბობდა: „პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა ღვთივ რჩეულთა, მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენით კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს“. მოსე ქურხულიშვილი საკუთარი იარებიდან გადმოღვრილი ხალხური პოეზიით წარმოგვიდგა ეროვნული კულტურის საგანძურად, რომელმაც თავშესაფარი ჰპოვა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სოფელ ოზაანის ერთ-ერთი გამორჩეული შვილია, მწერალი და პუბლიცისტი, ჯემალ მეხრიშვილი. ის დაიბადა სოფელ ოზაანში 1942 წელს. დაამთავრა თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი, ის არის ქართული ენის სამაგალითო მცოდნე და დამცველი. მისი ყოველი ფრაზა ტევადი და მსუყეა, მადლიანია, როგორც ქიზიყური თონის პური და ტკბილია, როგორც „მაჭარი დადუღებისას“. ასე ახასიათებს მისი კოლეგა ჯუმბერ უთრუთაშვილი და უძღვნის ლექსს:

**„ქიზიყის მიწის სურნელი უდის,**
**შენს წიგნებს უფლის კარნახით ნაწერს,**
**და როგორც მართვეს, მშობლიურ ბედის**
**ვალი მარადის კისერზე გაწევს.**
**წიგნში გადაგაქვს ფიქრი, განცდები,**
**გემოს უსინჯავ სიტყვებს ღალიანს,**
**კაცი ჭარმაგი უქმად არ ცდები,**
**უქმად ყოფნისთვის არა გცალია.**
**რწმენით და მადლით გაჟღენთილია,**
**შენი ყოველი ფრაზა და ბგერა,**
**და რასაც გვმოძღვრავს ბრძენი ილია,**
**ღვთის მცნებასავით ის გწამს და გჯერა.**
**ვერ ეგუები ცვედანს და ქლესას,**
**შენი სიტყვა და საქმე ერთია,**
**სულს რომ გიწრთობს და კალამს გილესავს,**
**მუზა კი არა, მამაღმერთია. “**

ფიროსმანის მუზეუმის ყოფილმა დირექტორმა, ანზორ მაძღარაშვილმა, ფიროსმანის შესახებ დაწერილი მისი წიგნის გამო გამართულ შეხვედრაზე, ბატონ ჯემალს ასე მიმართა: „შენ ფიროსმანის სერებზე ასვლისას, არც დედა მოგდევდა გვერდით და არც დეიდა, შენ გვერდში ნიკო ფიროსმანი მოგდევდა. ფიროსმანისავე ბედი გაქვს გაზიარებული, მასავით მძიმე ხვედრი გხვდა წილად, მაგრამ დრო მოვა და შენი კალამი ძალუმად დაფასდება. თუ ფიროსმანი ფუნჯით ხატავდა მირზაანის სერებს და ისე ხატავდა, რომ დღესაც აცოცხლებს მაშინდელ ყოფას, ჯემალ მეხრიშვილი ლამაზი ქართული სიტყვებით და ქიზიყური კილო-კავითა და დიალექტით ისე ხატავს ქიზიყელთა ყოფა-ცხოვრებას და ისე ლამაზად, რომ შენც იმ გარემოში გეგონება თავი“. ჯემალ მეხრიშვილი 15-მდე წიგნის ავტორია. მისი რომანები და მოთხრობები ჩვენს კუთხეს და ტრადიციებს ეძღვნება. მასში მარგალიტებადაა გაბნეული ქიზიყის, ნამდვილი, ძირძველი ქართული სიტყვები და კილო-კავები.

აღსანიშნავია ახალგაზრდა, ხეზე კვეთის ხელოვანის, აბო ოზაშვილის შემოქმედება. დაიბადა სოფელ ოზაანში, 1981 წელს, დაამთავრა მ. თოიძის სახელობის სამხატვრო აკადემია ხის ჭრის სპეციალობით. ის ბავშვობიდან დაინტერესებული იყო ხესთან მუშაობით. შემდეგ კი ეს საქმე ოჯახის შემოსავლის წყარო გახდა. ჰყავს ოჯახი. დღეისათვის ცხოვრობს თბილისში, რადგანაც სოფელში არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა. ის სასწაულად აჩუქურთმებს დიდ ჯვრებს, ეკლესიებს, ხატებს, გულსაკიდ ჯვრებს, ულამაზეს შანდლებს და ჩუქნის სკოლის მეგობრებს, ახლობლებს და სწირავს სოფლის ეკლესიებს.

თავისი სიტყვა თქვეს პოეზიაში ახალგაზრდებმა - გია გარსენიშვილმა, ჯუნა ოზაშვილმა, თეა ოზაშვილმა და სხვ. როგორც ქიზიყის სხვა სოფლებში, ოზაანშიც გვხვდება ადამიანთა საკუთარი სახელებისგან, გვარებისა და თიკუნებისგან წარმოებული ტოპონიმები. ოზაანში სახლობენ შემდეგი გვარები: ალადაშვილები (განშტოება ტურაანთი), ალუღიშვილები, ახალმოსულიშვილები და მოსულიშვილები, ბარამაშვილები, ბაჩუნაშვილები, ბენაშვილები, ბიკაშვილები, (განშტოება წოწკოაანთი), ბოსტოღანაშვილები (მრუდიაანთი), გარსენიშვილები (თუში ვანიაანთი), გიგოლაშვილები (მელაიაგორაანთი), გოგიაშვილები, გოგიჩაიშვილები, თარაშვილები (კვანჭახაანთი), თევზაძეები (კიკოცაანთი, მოკლაანთი), კაისაძეები, მეხრიშვილები, ოზაშვილები (ჯუმაანთი), ქურხულიშვილები და სხვ. აქ მოედინება წყაროები: იორწყალი, ნიკორწყალი, ამაღლების წყალი, შემორჩენილა ხევები, თელების ხევი, ქვაფთხევი, მუხათხევი (გამოდის გედიქის ხევიდან). სოფელს აკრავს ვაზიანისა და ამაღლების ტყეები. აქ მდებარეობს მინდორას ჭა და ოზაანის ტბა. შემორჩენილია ადგილის სახელწოდებები: ოქროაანი (ვენახი), ლეკაანთ წვერი, თოროლა, სამების მარანი (ვენახი), მოსაბრუნი გზა (ტოპონიმი მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს), ჩრდილები, ბრიმა კლდე. სოფელი იყოფა უბნებად: მეხრიანი, ყაჭაანთი, ქურხულაანთი, ტურა უბანი (ალადაშვილები), პრიჭკაანი (ოზაშვილები, თიკუნი იყო რუსული „спичка“ ).

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ რომ ოზაანი დიდი სოფელი ყოფილა. ამას მოწმობს სალოცავების რაოდენობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიდი სოფლის ტოპონიმიკაში (დასახელებული წყაროები, ხევები, ტყე, უბნები) შემორჩენილი სახელწოდებებით, ვიგებთ ამ სოფლის შორეულ წარსულს. სოფელში გვართა მიხედვით გამოყოფილია უბნები და მათ სახელი მიკუთვნებული აქვთ აქ მცხოვრებთა შესაბამისი გვარის ან გვარის განშტოების თანახმად. მრავალრიცხოვანი გვარი ცალკე განაყოფებად-შტოებადაა დაყოფილი წინაპარათა სახელების ან მეტსახელების (თიკუნების) თანახმად. უბნეული გვარი არაოფიციალურია. იურიდიულ ენაზე თუ ვიმსჯელებთ, ის არაა ფიქსირებული დოკუმენტებში, არ აისახება საკომლო სიებში. მაგრამ, სოფელმა კარგად იცის და ორიენტაციაც ამის მიხედვით ხდება.

დღეს სოფელი არც თუ ისე დიდია, აქ დაახლოებით (2014 წლის მონაცემებით) 833 კაცი ცხოვრობს. უმრავლესობა სოფლის მეურნეობას, ნაწილობრივ მესაქონლეობას და მცირე ბიზნესს (ძირითადად ვაჭრობის კუთხით) მისდევს. სოფელს აქვს საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი, ამბულატორია, აფთიაქი. ცენტრალური გზა, რომელიც დედოფლისწყაროს წნორთა აკავშირებს და ამ სოფელზე გადის, მოასფალტებულია. ნაწილობრივ მოასფალტებული და მოხრეშილია სოფლის შიდა გზები. თუმცა საფიქრალ-საღონისი მაინც არ აკლია სოფელს. კვლავაც ბევრი გეგმა და ჩანაფიქრი აქვს განსახორციელებელი სოფლის და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და მოსახლეობაც იმედის თვალით შეჰყურებს მათ.

# ბედნიერება, როგორც ცხოვრების არსი



***დღევანდელი ჩვენი ყოფა-ცხოვრება რომ ბედნიერებისგან ძალიან შორსაა, ფაქტია. არ არსებობს ადამიანი, ბედნიერებაზე რომ არ ოცნებობდეს. რა თქმა უნდა, ბედნიერების არსი ინდივიდუალურია და ყველა თავისებურად აღიქვამს.***

„ბედნიერება ადამიანის არსებობის უმთავრესი მიზანი და მნიშვნელობაა"- ამბობდა არისტოტელე. ალბათ სამყაროში არ არსებობს ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც არ უფიქრია იმაზე, თუ რა არის ბედნიერება, ან არის თუ არა ბედნიერი. არისტოტელესი არ იყოს, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ბედნიერება ადამიანის უმთავრესი მიზანია. ადამიანი ბედნიერი ყოველდღე შეიძლება იყოს, და ამისთვის საერთოდ არ არის საჭირო, რომ რაღაც მნიშვნელოვანი და ძალიან დასამახსოვრებელი მოხდეს მის ცხოვრებაში. თუ კარგად დავუკვირდებით, დღის განმავლობაში მინიმუმ ერთი წუთი მაინც გვექნება ისეთი, სადაც თავი სულ ოდნავ, მაგრამ, მაინც ვიგრძენით ბედნიერად. დიდ ბედნიერებას წარმოადგენს დასახული მიზნების მიღწევა, კარგად გაკეთებული საქმის შედეგით გამოწვეული კმაყოფილება, საიამოვნო ურთიერთობებით მიღებული სიამოვნება და ა.შ.

**როდის იწყებს ადამიანი ბედნიერებაზე ფიქრს?** ჩემი აზრით ადამიანს პატარა ასაკიდანვე აქვს ბედნიერების შეგრძნება, თქვენ შეიძლება იფიქროთ, რა იცის პატარა ბავშვმა რა არის ბედნიერებაო, მაგრამ აქ ცდებით, ბავშვები უფრო გულწრფელად განიცდიან ბედნიერების შეგრძნებას, ვიდრე ზრდასრულები. მათთვის ყოველი წუთი ბედნიერია. მომენტი, როდესაც ბაღში პატარა ყვავილს ნახავენ, ან ვინმე სათამაშოს აჩუქებს. თითოეული ადამიანისთვის ბედნიერება სხვადასხვა რამეშია, ეს შეიძლება იყოს, მეგობრები, სიყვარული, ან თუნდაც ფული.

სამყარო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, სავსეა ბედნიერებით, მაგრამ მოდით, გავიდეთ ქუჩაში და პირველი რასაც დავინახავთ ნაცრისფერი ფერი იქნება , რომელიც ყველაფერს დასდებია. ადამიანების სახეებზე სიხარულის ნიშანწყალი არ მოეძებნება, მთავრობას ნუ დავაბრალებთ, ის ხშირად იცვლება, ჩვენ კი არა, თანაც, ადამიანებს ყოველთვის გვაქვს სხვაზე დასაბრალებელი მიზეზი. ასე თუ ისე, ყველაფერი გაერთფეროვანდა... საკუთარ თავში ჩაკეტილები დავიარებით და არც ვფიქრობთ გარემოზე, და ჩვენც უკვე ერთფეროვნების წევრი ვხდებით, ადამიანები იმ დიდი პაზლის პატარა წევრები ვართ ერთ დიდ ნახატს რომ ქმნის, საკუთარ თავში ჩაიხედეთ და უკვე აწყობილ პაზლს წარმოსახვით გადახედეთ. რას ხედავთ?... რამდენი ფერია? ქუჩაში გასულს ღიმილის დანახვა, პოზიტივი მოგენატრება, თუ არ გვაქვს ნეგატივი მაშინ თავად ვქმნით მას. ბოლო პერიოდის რამდენი რომანი წაგიკითხავთ ბედნიერი დასასრულით ? ან რამდენი სურათი გინახავთ სადაც პოზიტივია დომინანტი ? სატელევიზიო სივრციდან ბოლოს როდის მოისმინეთ სასიამოვნო ამბები?... ასეა, ამ უარყოფით ემოციებში ჩაძირულები ვეძებთ ბედნიერებას...

ბედნიერების თემასთან დაკავშირებით კი უამრავ ინფორმაციას შეხვდებით - დაწყებული ფსიქოლოგიური ხრიკებიდან, დამთავრებული სხვადასხვა რჩევით. როდესაც ვსაუბრობთ ბედნიერებაზე, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მრავლისმომცველი და ხანგრძლივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის 81-წლიანი კვლევა სახელწოდებით „ზრდასრულთა განვითარება".

1938 წლიდან ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევრები ერთ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობენ: „რა გვაბედნიერებს ცხოვრებაში?" კვლევა 724 ადამიანის სიცოცხლეზე დაკვირვებით დაიწყო, რომელთა ნაწილიც დღეს 90 წელს გადაბიჯებულები არიან, ამიტომ, პროცესი გაგრძელდა მათი შვილების (დაახლოებით 2 ათასი ადამიანი) ცხოვრების ანალიზით.

როგორც ფსიქიატრმა რობერ ტვალდინგერმა, კვლევის მეოთხე დირექტორმა, TED Talk-ში აღნიშნა, კვლევის ძირითადი დასკვნა გასაოცრად მარტივია: **„ჩვენი გზავნილი შემდეგია: კარგი ურთიერთობები გვაბედნიერებს და გვაჯანსაღებს"**.

**ცხოვრება ურთიერთობებია...**

ცხოვრების განმავლობაში ჯანსაღი ურთიერთობების შენარჩუნება და იმის ცოდნა, რომ გყავთ ადამიანები, რომელთა იმედიც გაქვთ რთული მომენტების დროს, იცავს თავის ტვინს და მეხსიერებას უფრო დიდხანს გინარჩუნებთ. **„მარტოობა კლავს, ეს ისეთივე ძლიერია, როგორც მოწევა ან ალკოჰოლიზმი"** - ამბობს რობერტ ვალდინგერი.

იზოლირებული ადამიანები ტვინის ფუნქციონირების დაქვეითებას განიცდიან, ნაკლებად ბედნიერები არიან და უფრო ადრე იღუპებიან. ვალდინგერი აღნიშნავს, რომ მარტოსულობა შეიძლება ხალხმრავლობასა და ქორწინებაშიც იგრძნოთ, რადგან **მთავარი ურთიერთობების ხარისხია და არა რაოდენობა.**

მკვლევარებმა ასევე აღმოაჩინეს, რომ ოჯახურ კმაყოფილებას დამცავი ეფექტი აქვს ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. დადგინდა, რომ ბედნიერ ქორწინებაში მყოფი 80 წლის ადამიანებისთვის ფიზიკური ტკივილიც კი არ ცვლიდა მათ განწყობას ცხოვრების მიმართ, მაშინ როდესაც ცუდ ქორწინებაში მყოფ ადამიანებს გამუდმებით აწუხებდათ ფიზიკური და ემოციური ტკივილები.

ურთიერთობები შეიძლება დამღლელი იყოს, მაგრამ ისინი პრიორიტეტად უნდა აქციოთ. **მთავარი გასაღები კომუნიკაციაშია.**

ყველა სახის ურთიერთობა, მათ შორის, მეგობრობა და სიყვარული, ინგრევა სწორედ კომუნიკაციის ნაკლებობის გამო - ჩვენ ყოველთვის არ ვამბობთ იმას, რის თქმაც გვსურს, არ ვართ გულწრფელები და გვაბრაზებს სხვების უუნარობა, გამოიცნონ ჩვენი განცდები. იმისთვის, რომ გულწრფელობის შიში გადავლახოთ, ეს მარტივი ხრიკი გამოიყენეთ: იფიქრეთ, რომ თქვენი სიტყვა სხვისთვის ფუტკრის ნესტარია, რომელიც თავიდან, პირველივე მომენტში მასში ტკივილს გამოიწვევს, მაგრამ შემდგომ ნელ-ნელა განელდება და დამშვიდდება, თუ მალამოს სახით თანაგრძნობისა და ღრმა მოსმენის უნარს გამოავლენთ.

უპირველესად, უნდა გაიაზროთ, რომ მტრობას დიდი გავლენა აქვს თქვენს ურთიერთობებზე - იმსჯელეთ, რატომ მოხდა უთანხმოება, შეეცადეთ, სიტუაციას სხვისი მხრიდან შეხედოთ და პატიებისკენ გადადგათ ნაბიჯი. ასევე აუცილებელია გახსოვდეთ, რომ სამსახური არ უნდა გახდეს თქვენი ცხოვრება, აუცილებელია ბალანსი და ინტეგრაცია, რათა პირად ცხოვრებაზე კონტროლი არ დაკარგოთ. სამუშაო მოთხოვნები მუდმივად იზრდება, ამ ქაოსურ სამყაროში ურთიერთობების გაძლიერება კი სულ უფრო რთული ხდება. უნდა განსაზღვროთ - რა არის წარმატება თქვენთვის: სამსახური, ოჯახი თუ ბალანსი? საბოლოო ჯამში, ეს ინდივიდუალური არჩევანის საკითხია.

და მაინც, რა არის ბედნიერება? ბედნიერებაა, როდესაც ის ადამიანი გიყვარს, რომელსაც უყვარხარ. ბედნიერებაა, როდესაც თბილი სამეგობრო წრე გყავს. ბედნიერებაა, როდესაც შეგიძლია მათთან განიხილო ნებისმიერი თემა და ამის სულაც არ შეგრცხვება. წვრილმანებშია ბედნიერება. ბედნიერებაა თუნდაც ვიღაცის სახეზე ღიმილი, შენი ოჯახი, მეგორები, ბედნიერებაა საყვარელი საქმის კეთება. ბედნიერებაა ყველა ის მომენტი, როდესაც თავს კარგად გრძნობ, ამ მომენტებს ერთმანეთთან აკავშირებ და იქმნება ჯაჭვი, რომლითაც ცდილობ ცუდი მომენტების გადაფარვას.

მოკლედ, ყველა ადამიანი შეიძლება იყოს ბედნიერი, მთავარია დავაფასოთ ის, რაც გვაქვს, ეს გაგხვდის ბედნიერს და არა იმის მილებაზე ფიქრი, რაც არ გვაქვს. გავუზიაროთ ერთმანეთს ბედნიერება, ამით ჩვენ არაფერი დაგვაკლდება.

# ჩვენ არ შევხვდით შემთხვევით: სინქრონული კავშირის 5 ტიპი

***თითოეულ ადამიანს ვისაც ხვდებით ცხოვრების მანძილზე, ყველას აქვს გარკვეული როლი. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად მცირე შეიძლება მოგეჩვენოთ მათი ზეგავლენა თქვენს ცხოვრებაზე, ყველა შეხვედრა გაცილებით მეტს ემსახურება, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგიძლიათ.***

შეიძლება, გაცვეთილ ფრაზებად მოგეჩვენოთ, მაგრამ ყველაფერი, რაც ხდება თქვენს თავს, არ ხდება უბრალოდ, ისე, ან შემთხვევით... ყოველი შეხვედრა წარმოადგენს შედეგს, რომელიც ხშირად შეუძლებელია ლოგიკის დახმარებით ახსნა.

შეხვედრილი ადამიანები იყოფა სხვადასხვა კატეგორიად. ზოგიერთი მათგანი რჩება სიცოცხლის ბოლომდე და ისინი სრულად ცვლიან ცხოვრებას, მათი დახმარებით ისე გარდაისახება თქვენი სიცოცხლე, რომ შეხვედრის და გაცნობის მომენტში ამის წარმოდგენაც კი გაგიჭირდებოდათ. ზოგიერთის გამოჩენას ვერც კი ამჩნევთ ან არ გახსოვთ. მაგრამ ფაქტია, აბსოლუტურად ყველა შეხვედრას აქვს გარკვეული მიზანი - ზოგიერთი შეხვედრა გაბედნიერებთ, ზოგიერთი კი გაძლევთ ურთულესი გაკვეთილების გავლის გამოცდილებას.

ადამიანები ისე ვართ მოწყობილი, თუ რამეს ადვილად ვიღებთ გვიჭირს მისი დაფასება. შესაბამისად, ყველა ადამიანი, რომელსაც ხვდებით ცხოვრებაში, უკეთესს ხდის მას და თავისებურად გვეხმარება მის დაბალანსებაში.

ჩამოვაყალიბოთ, გარკვეული მიზნის მატარებელი (სინქრონული) ურთიერთოებების 5 ტიპი:

1. ადამიანები, რომლებიც გაფხიზლებენ – რასაკვირველია, სიცოცხლის მანძილზე ვისაც შეხვდებით ყველას დიდი ხნით დარჩენა „არ უწერია". ზოგიერთის მიზანია - გამოგაფხიზლოს პიროვნება და როგორც კი ეს მოხდება, გზები გაიყრება.

2. ადამიანები, რომლებიც გახსენებენ რაღაცას – ზოგიერთი გახსენებთ, რომ თქვენ მიუყვებით სწორ გზას. გზას, რომელიც მიგიყვანთ წარმატებასთან. ასეთი ადამიანები ტოვებენ ნაკვალევს და მათი ზეგავლენა თქვენს ცხოვრებაში რჩება დიდი ხნით. ეს ის კატეგორიაა, რომელთა დავიწყება არა თუ მარტივი, უფრო შეუძლებელია.

3. ადამიანები, რომლებიც ზრდა და განვითარებისთვის გაძლევენ მოტივაციას – ისინი გარკვეულ წილად არიან მასწავლებლები და გამოწმებენ გამძლეობაზე. გეხმარებიან რთული და ისეთი გაკვეთილების ათვისებაში, რომლებსაც სხვანაირად ვერ ისწავლიდით დამოუკიდებლად. მათ შეაქვთ უდიდესი წვლილი თქვენს პიროვნულ ზრდაში და გიტოვებენ მტკიცე ფასეულობებს.

4. ადამიანები, რომელბიც მხოლოდ მცირე ხნით ჩნდებიან ცხოვრებაში – ზოგიერთ, თითქოსდა შემთხვევით ადამიანებს ხვდებით ქუჩაში, მეტროში, მაღაზიაში, მგზავრობისას, ინტერნეტში. რამდენიმე წუთიან ურთიერთობას შეუძლია შეგიცვალოთ დღე ან მთელი ცხოვრება ან შემოიტანოს სიახლედ ისეთი თემა, რომელიც, დაგაფიქრებთ ცხოვრებაზე.

5. ადამიანები, რომელბიც რჩებიან ბოლომდე – მსგავსი ადამიანები გხვდებიან იშვიათად. აქ მოიაზრება მეგობარი, ოჯახის წევრი, მეუღლე ან მოძღვარი... ეს ადამიანები კოლოსალურ ზეგავლენას ახდენენ თქვენს ცხოვრებაზე, ჩვეულებრივ მათ ცხოვრების თქვენებური ხედვა აქვთ და თქვენი ოცნებები ერთმანეთს ჰგავს.

**გვერდი მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# „სიკეთე გამოძახებით“

*გასულ უქმეებზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წინ მდებარე სკვერში სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული პოეზიის საღამო მოეწყო. ღონისძიება, ორი ცნობილი პოეტის - ჯუბა ღებელის და გიორგი ნატროშვილის დაბადების დღეს მიეძღვნა. მრავალი ღონისძიების სულისჩამდგმელმა და ორგანიზატორმა, ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარემ, ნანა ჭიჭინაძემ, მსმენელებს ახლაც მშვიდი და პოეზიით სავსე საღამო აჩუქა.*



„სიკეთე გამოძახებით“ ჯუბა ღებელს აწ გარდაცვლილმა, იმ ხანად ცნობილმა ტელე-ჟურნალისტმა, პოეტმა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ წამყვანმა ჟურნალისტმა, დოდო იორდანიშვილმა შეარქვა. ყველასთვის საყვარელმა პოეტმა მზია ხეთაგურმა, რომელიც ონლაინ რეჟიმში ერთვებოდა საღამოს, სწორედ ამ სათაურით „სიკეთე გამოძახებით“ უძღვნა ლექსი ჯუბა ღებელს. ლექსი დამსწრე საზოგადოებას თავად საღამოს წამყვანმა ნანა ჭიჭინაძემ გააცნო.

„ის ასეთია - მართლაცდა „სიკეთე გამოძახებით“!
რაჭამ მთის წვერზე აღმართა მისი კაცური სახელი!
ორმოცდაათ წელს გადასცდა სინდისით-ხელუხლებელით!
ლექსია მისი მარაბდა, ლექსია მისი მხლებელი!
გულს ისე ეიმედება, ვით ციხე - აუღებელი!
უდაბნოს გიქცევს ედემად ღებიდან - ჯუბა ღებელი!“

ჯუბა ღებელის ლექსი „შემოაღამდათ პოეტებს გზაში“ - იმ ლექსთაგან ერთ-ერთია, რომელიც სულ ახლახანს გამოცემულ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში დაიბეჭდა. შეხვედრის მონაწილეებს სწორედ ეს ლექსი წაუკითხა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ საპატიო მიზეზების გამო ღონისძიებას ვერ ესწრებოდნენ თავად ჯუბა ღებელი და გიორგი ნატროშვილი, ისინი ტელეფონით მაინც ერთვებოდნენ ღონისძიების მსვლელობაში. საღამოს უფრო მეტ ხიბლს მატებდა ის ფაქტიც, რომ თვითონ მსმენელები კითხულობდნენ პოეტების ლექსებს. თამაზ წიკლაურმა შთამბეჭდავად წარმოადგინა გიორგი ნატროშვილის პოეზია, ნანა ჭიჭინაძემ კი ჯუბა ღებელის ლექსებით დაატკბო მსმენელი.

საღამოს დასასრულს, ნანული ნატროშვილმა, ქეთინო მჭედლიშვილმა, სპეციალურად მოწვეულმა სტუმარმა თბილისიდან, რომელიც დედოფლისწყაროში დაიბადა და გაიზარდა, მედიკო მაჭარაშვილმა, ნაირა გომელაურმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ უდიდესი სიამოვნება იყო ღია ცის ქვეშ, ბუნებაში, ჯუბა ღებელისა და გიორგი ნატროშვილის მართლაც შედევრი ლექსების მოსმენა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა, განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ღონისძიების ორგანიზატორის, ქალბატონ ნანა ჭიჭინაძის მიმართ და მიულოცა 50 წლიანი მოღვაწეობა ქართულ მასმე-



დიაში. ქალბატონი ნანასთვის ეს წელი საიუბილეოა. მას საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება მიენიჭა. იგი 1970 წლიდან დღემდე მოღვაწეობს ბეჭდურ მედიაში. მისი წერილები იბეჭდება როგორც დედაქალაქში, ასევე სხვადასხვა რეგიონის მიერ გამოშვებულ ცნობილ ჟურნალ-გაზეთებში.

**მოამზადა**
ქუქუნა ყანჩაშვილმა

# „ქვეყანაში ეპიდსიტუაცია მართვადია და პანიკის საფუძველი არ არის“

**„სვანეთსა და ყაზბეგში და ზოგადად ქვეყანაში ეპიდსიტუაცია მართვადია“,-** ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისივე განცხადებით, სასწავლო პროცესის გადადების რეკომენდაცია არ გაიცემა და ასევე ქალაქების ჩაკეტვა არ იგეგმება.

**„14 აგვისტოს მონაცემებით გვაქვს 23 ახალი შემთხვევა. აქედან 6 არის ე.წ ლენჯერის კლასტერი, 11 არის ინფიცირებულებთან კონტაქტი და ეს, ძირითადად, შემოიფარგლება ყაზბეგთან დაკავშირებული კონტაქტებით. ასევე 2 არის იმპორტირებული შემთხვევა და ორივე მძღოლია. ინტენსიური გამოკვლევები მიმდინარეობს, 2 800- მდე ნიმუშია აღებული მესტიაში, დაახლოებით 350 ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.**

**მესტიაში, ძირითადად, ინფექცია ლოკალიზებულია. სასიამოვნოა, რომ მოსახლეობამ, ვინც ბოლო ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა მესტიაში, იგრძნო საფრთხე და მიმართეს მედიკოსებს. 600-მდე ადამიანმა მიმართა და სამს ჰქონდა დადებითი. მოვუწოდებთ მოსახლეობას, რომ ვინც ნამყოფია სვანეთში ბოლო ორი კვირის განმავლობაში და ექნება სიმპტომები, აუცილებლად მიმართონ შესაბამის სამსახურებს, დარეკონ 112-ზე და ჩაიტარონ კვლევა. ასევე, თუ არ აქვთ სიმპტომები, მაგრამ აქვთ ინტერესი, შეუძლიათ მივიდნენ და ჩაიტარონ „პისიარ“ კვლევა.**

**ხაზს ვუსვამ, ეპიდსიტუაცია ქვეყანაში მართვადია. ეს შემთხვევები არ გახლავთ ის შემთხვევა, რომ პანიკას მივეცეთ. არავითარი ჩაკეტვა არ იქნება ქალაქების. მოგეხსენებათ, ჩვენ დავუბრუნდით ცხოვრების ნორმალურ რიტმს და ეს ასეც უნდა იყოს. კორონავირუსი ხვალ და ზეგ არ გაქრება. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ვირუსთან თანაცხოვრებას. დიდი თავშეყრებისაგან თავი უნდა შევიკავოთ, თავი უნდა ავარიდოთ დიდ ქორწილებს, ქელეხებს და ასე შემდეგ“**, - განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მარიეტა გონაშვილის განცხადებით, მუნიციპალიტეტში ეპიდსიტუაცია მშვიდია და კოვიდინფიცირების ფაქტი არ გამოვლენილა. 15 აგვისტოს მონაცემებით, საზღვარგარეთიდან ჩამოსული მხოლოდ 2 ადამიანი იმყოფება თვითიზოლაციაში. ეპიდემიოლოგიური კვლევები მიზნობრივ ჯგუფებთან კვლავაც გრძელდება.

შეგახსენებთ, რომ 15 აგვისტოს მონაცემებით, ქვეყანაში კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევაა- 1321, მათ შორის გამოჯანმრთელებული - 1088, გარდაცვლილი - 17, კარანტინის რეჟიმში - 7597, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ - 249, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილი საქართველოს მოქალაქეები - 41.



# „ყველა ერთი ლექსით რჩება, ერთ ლოცვად და გალობად“

ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეული, რომელიც 2020 წელს „მერანმა“ გამოსცა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, იმით გამოირჩევა, რომ აქ წარმოდგენილია ავტორთა საუკეთესო ლექსები. პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი გახლავთ მაყვალა გონაშვილი, რედაქტორ-შემდგენელი ზაალ ბოტკოველი, მხატვარი გიორგი წერეთელი. სარედაქციო კოლეგია: ტარიელ ჭანტურია, ქეთევან შენგელია, მანანა ჩიტიშვილი, მარინე ცხვედიაშვილი, მურმან თავდიშვილი, დავით თევდორაძე, ბადრი ქუთათელაძე, ვანო ჩხიკვაძე. საკონსულტაციო საბჭო: რევაზ მიშველაძე, ბაღათურ არაბული, თემურ ჩალაბაშილი, სოსო სიგუა.

ანთოლოგიის პირველი წიგნი მოიცავს გარდაცვლილ ოსტატთა ნააზრევს. მკითხველი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხავს ხალხური პოეზიის ცნობილ შედევრებს: „მუმლი მუხასაო“, „ბინდისფერია სოფელი“, ლექსი „ვეფხისა და მოყმისა“, ლექსი ხვარამზეზე. მომდევნო გვერდზე წარმოდგენილია V-XVIII საუკუნის პოეზია „სიყვარული გზად და ხიდად“. მე-19 საუკუნის პოეზია „რამ შემქმნა ადამიანად“, XX საუკუნის პოეზია „რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს“.

ანთოლოგიის მეორე ტომში წარმოდგენილია XXI საუკუნის პოეზია „იმედი ხვალის“. სასიხარულოა რომ ანთოლოგიაში დედოფლისწყაროელი ცნობილი პოეტის, „მეტრის“ ნომინანტის, ჯუმბერ უთრუთაშვილის, უმშვენიერესი ირმა შიოლაშვილის, ქეთევან ნათელაძის, მარინე ცხვედიაშვილის, ლევან ალავერდაშვილის და ბევრი ცნობილი პოეტის: მზია ხეთაგურის, ლია ჭილაძის, ჯემალ კუხალაშვილის, ეთერ ფაცურიას და, რა თქმა უნდა, მაყვალა გონაშვილის თითო საუკეთესო ლექსს წაიკითხავთ და უდიდეს სიამოვნებას მიიღებთ.

ვულოცავთ მთელ შემოქმედებით ჯგუფს, პირადად მაყვალა გონაშვილს და ზაალ ბოტკოველს ამ შესანიშნავი საქმის აღსრულებას. ასევე ვულოცავთ თითოეულ ავტორს, რომელიც ქართული პოეზიის ანთოლოგიის მეორე ტომში არის წარმოჩენილი.

ნანა ჭიჭინაძე,
**ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე**

# ქართული მაწვნის მომზადების ტრადიციას ძეგლის სტატუსი მიენიჭა

„ქართული მაწვნის მომზადების და მოხმარების ტრადიციას“, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანება, სულ ახლახანს გამოქვეყნდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს, ბრძანებაში მითითებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტის მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა დაევალა. სააგენტოს იურიდიულმა სამსახურმა კი, ერთი თვის ვადაში, ძეგლის მონაცემების განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებები უნდა განახორციელოს.

# იარონ, იარონ, იარონ, ამინ!

***მთელს მსოფლიოსთან ერთად დიდი გამოწვევის წინაშე დგას დღეს საქართველოც: კორონა გვემუქრება! ნელ-ნელა, მაგრამ მაინც დაძვრება ჩვენს გარშემო. გვეშინია, ვიძაბებით, ზოგნი ვფრთხილობთ, ზოგნი არაფრად ვაგდებთ, მაგრამ მისმა გამოჩენამ ადამიანთა ცხოვრების წესი რომ შეცვალა, ნათელია: „ონლაინ“ რეჟიმში გადასული სწავლება, ვირტუალური კონცერტები სხვა და სხვა.***

ბევრი სიკეთე ვერაფერი, მაგრამ ერთი რამ მაინც მოახერხა, რომ ქალაქებიდან ხალხი სოფლისკენ დაიძრა, მამაპაპისეულ სახლ-კარს მიაშურა, ეზო აახმიანა. ახლა საზაფხულო არდადეგებია და ბავშვები ლაღობენ. ამ მძიმე დროში ბავშვებმა გაახალისეს ჩვენი ცხოვრება. ჩვენი ქალაქიც გაივსო ფუძესმობრუნებული თუ პაპა-ბებიასთან, დეიდა-მამიდასთან სტუმრად ჩამოსული გოგო-ბიჭებით. გადაგრილდება თუ არა, შებინდებამდე ისმის ჩემს ევდოშვილის ქუჩაზე ბავშვების ჟივილ-ხივილი. მერედა, რამდენნი არიან! ... გულს უხარია მათი ცქერა - მშვენიერები, მკვირცხლები, გონიერები, თვალხატულები, ზოგი შავ-შავ თვალებს აბრიალებს, ზოგი ცისფერ, ლურჯად მოკამკამე თვალებს მოგანათებს, ჟუჟუნებენ თაფლისფერი, ნაბლისფერი თვალები და მახსენდება პოეტის სიტყვები: „მე ვენაცვალე საცრისხელა მაგ ლამაზ თვალებს!“ და, მიუხედავად ასაკისა, მინდა, შევძახო: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ ვცოცხლობთ, რადგან მოდის მომავალი თაობა თავისუფალი, ლაღი, იმედი ხვალის და პირველი სიმდიდრე ერის!.



ჟრიამულობენ, თამაშობენ ძველსა თუ ახალ თამაშებს, დასდევენ ბურთს, დაქრიან ველოსიპედებით, გორგოლაჭებით,სკეიტბორდები თ... ზოგჯერ ჩამოსხდებიან, ლექსაობენ, გამოცანებში ცდიან ერთმანეთს და ხალისობენ. მაგრამ ერთი კვირის წინ მათ გაოცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ნუგზარი ძიამ თავის სამ შვილს და მათ საძმო-სადაქალოს განსხვავებული „ტრანსპორტი“ მოუყვანა: ვირი და ვირის „ტაჭკა“. ჯერ შეკრთნენ, ყველა ვერ ბედავდა მიახლოებას, მერე მიეჩვივნენ და დადგა „ტაჭკაზე“ დაჯდომის მსურველთა რიგი. კოფოზე მეპატრონე ჭაბუა და მახარე წამოსკუპდნენ, მათმა დაიკომ, მეტიჩარა ციციამ საფენი დაიფინა და ფეხმორთხმით მყარად დაჯდა იატაკზე, ზოგმა ჩაიმუხლა, ზოგი ჭალებს მოეჭიდა და პირველი „რეისიც“ დაიძრა. შემოიარეს ქალაქის ქუჩები და როცა დაბრუნდნენ, მეორე ნაკადი მოუთმენლად ელოდა და მზად იყო სამოგზაუროდ.

ღმერთო დიდებულო, შენ დაიფარე ისინი ავისა და ბოროტისგან, ღვთისმშობელო, შენ გადააფარე შენი კალთა მათ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, გაიხარონ და ბედნიერები იყვნენ მარიამი და გიორგი, დიდი ანდრია და პატარა ანდრია, სესილი და მარიტა, ქეთი და ტასუნა, საბა, გეგა და მაქსიმე, დემეტრე და ელენე, გაბრიელი და მაშო, ეთუნა და ევა, ლილე და ანა, ნიკუშა, ანანო, ლიზა და კატო, ნიაკო და ანი, ილია და ბარბარე, საბა,ლუკა,მარიამი და ნია, მარიამი და ნუცა და ყველა ბავშვი, როგორც ჩვენი იმედი და მომავალი, დაე, ულრუბლო ცის ქვეშ ბედნიერად იარონ, იარონ, იარონ, ამინ!

> „ეს გაუმარჯოს – საქართველოს აწმყოს და მყოფადს,
> ეს გაუმარჯოს – საქართველოს დიად მომავალს!“
> მურმან ლებანიძე

ბოლოს კი ეს ჩემი გულიდან ამოსული პატარა „მონოლოგი“ მინდა, დავამთავრო მურმან ლებანიძის სიტყვებით, ვით შეგონება და ანდერძი მათი მომავლისადმი:

„ნუ დაადგებით-გაკვალულ ხნულებს!
ნუ დააცხრებით -ცხოვრებას იოლს!
ჩემი რჩევაა, საყვარლებო, მამულში გადით,
აშენეთ დაბა-ქალაქები, ჩადექით ხნულში,
ხალხის შვილები-ხალხადვე დარჩით!
ვინ მოგვიტანა აქამომდე ეს საქართველო,
გარეშე მგოსნის, მეფურ ღვაწლის,
ზეგარდმო ნიჭის, თუ არა გლეხმა,
ვინც საკუთრივ ჩაჭყარა ვაზი!
თუ არა ხურომ, ვინც საკუთრად გამოწვა კირი!
თუ არა კაცმა, ვინც საკუთრივ გასჭედა რკინა
და ქალაქები გამოჭკვეთა იმ რკინით კლდეში!
არ განიყოფა სამამულო, სახალხო საქმე-
მცირედ და დიდად!
დამიბრმავდეს ეს თვალი, მამო,
თუ არ მიმაჩნდეს- უდიდეს საქვეყნო ლხინად,
თუ არ მიმაჩნდეს- უზენაეს საქვეყნო ღვაწლად:
სამშობლოს ოდებს მიუმატო ოდა-სართული,
ორი ალვისხე დაუნთო სანთლად
და ჭრელ კორტოხებს შენი შენნი მოჭფინო ჯარად!

ნაირა გორაშვილი

## ულოცავენ!

**უშანგი წყარუაშვილს!**
**ელგუჯა თეთვაძეს!**

**ძვირფასო უშანგი**, ათეული წლები გავატარეთ ერთად „შირაქის“ რედაქციაში. გაფირნდა წლები და სიბერემ კარზე მოგვიკაკუნა, მაგრამ ერთმანეთის სიყვარული ისევ გულში გვაქვს. მიხარია, რომ ამდენ ხანს შევრჩით ქვეყანას. 90 წლისთავს გილოცავთ.

შენ კი **ჩვენო ელგუჯა,** არავინ დაიჯერებს, რომ 70 წლის გახდი. გილოცავთ ორივეს საიუბილეო წლებს, გისურვებთ ჯანმრთელობას. გაიხარეთ თქვენს ოჯახებთან ერთად და იყავით ბედნიერები.

კლარა ოზაშვილი **და** გუგული ალადაშვილი **ოჯახით**

## ეს საინტერესოა!

*ოქრო იმდენად იშვიათი მეტალია, რომ ერთ საათში მოპოვებული რკინა უფრო მეტია, ვიდრე კაცობრიობის მიერ მოპოვებული ოქრო მთლიანად.

*სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისას ადამიანის თმა 725 კილომეტრის სიგრძის იზრდება.

*აზიდვების მაქსიმალური რაოდენობა ერთ ჯერზე არის 46001.

*გველს შეუძლია, იძინოს სამი წლის განმავლობაში.

*თეთრი ვეშაპის გული „ფოლკსვაგენ ჟუკის“ ოდენაა.

*ერთი მილიარდი წამი დაახლოებით 37 წელიწადია.

*ქამელეონის ენა მის სხეულზე ორჯერ დიდია.

*სპრინტერს (მორბენალი) შეუძლია სტარტიდან პირველ 10 მეტრზე სპორტულ ავტომობილს გაუსწროს.

*ერთადერთი ჩიტი, რომელსაც უკუღმა ფრენა შეუძლია, არის კოლიბრი.

*აეროდინამიკისა და ზუსტი ბალანსის შესანარჩუნებლად, არწივის ერთი ფრთიდან რომელიმე ბუმბულის გამოვარდნისას მეორე ფრთაზეც ზუსტად ის ბუმბული სცილდება.

*ხეოფსის პირამიდის ფილებს შორის სივრცეებში შეუძლებელია სამართებლის გატარება.

*არწივები ჰაერში წყვილდებიან.

*მსოფლიოში, მძღოლები უფრო მეტ ირმებს კლავენ, ვიდრე მონადირეები.

## გაიღიმეთ !

***

სვანი, მეგრელი და კახელი მიდიან მატარებლით და თან მიაქვთ საჭმელები, კახელმა გზაში შეჭამა რაც ჰქონდა და კიდევ მოშივდა, არ იცოდა რა ექნა და კარტის თამაში შესთავაზა მეგრელს და სვანს, ისინიც დაეთახმნენ, მაგრამ კარტი რომ არ გვაქვსო? კახელმა საჭმელებით თამაში შესთავაზა, დაეთანხმნენ მეგრელი და სვანი. დაიწყეს თამაში. მეგრელი შემწვარ ქათამს ჩამოვიდა, სვანი შემწვარი გოჭის ბარკალს. კახელმა ახედ დახედა და უთხრა: ვერ ვჭრი. მივიღეო

***

სვანი იჩხუბებს მამამისთან და წავა სახლიდან. რამოდენიმე თვეში მოსდის წერილი, გახსნის და ცარიელი ფურცელია. მამა:-კიდე არ მელაპარაკება ეს შობელძაღლი.

***

მიხოს ეკითხებიან: რამ მოკლა შენი სიდედრი?
-შხამიანი სოკო შეჭამა და...
-და თვალი რატომ ჰქონდა დალურჯებული?
-თავიდან არ ჭამდა...!

***

მთვრალი უვლის გარშემო ჭას, თან თავისთვის ბუტბუტებს:
-სადმე თუ არ გადავძვერი, ამ ღობეს ბოლო არ უჩანს რა...

***

გურულს დაეჯახა მანქანა. გადმოხტა მანქანიდან ახალგაზრდა ბიჭი და წაქცეულ გურულს ეხვეწება:
-ადექი რა ბიძია გეხვეწები რააა...ადექი ბიძია რააა, არ დამღუპო ბიძია, გეხვეწები ადექი რააა...
გურული ახელს თვალს და პასუხობს:
-ვიდექი ბიძია, მარა დამაყენე?!

***

კახელი ღამით საშინელ სეტყვაში მოყვა, თავი კოპებით აქვს სავსე. ამ დროს გაიელვა.
-ხო ხო გაუნათე არ ამაცილოსო - გაბრაზდა კახელი.

***

რაჭველი აღსარებაზე მივიდა ეკლესიაში.
-შევცოდე მამაო.
-რა, შვილო ჩემო?
-მეგრელი მოვატყუე.
-ეგ ცოდვა კი არა, სასწაულია შვილო ჩემო.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 17.08 დღე | ღამე | სამშაბათი 18.08 დღე | ღამე | ოთხშაბათი 19.08 დღე | ღამე | ხუთშაბათი 20.07 დღე | ღამე | პარასკევი 21.08 დღე | ღამე | შაბათი 22.08 დღე | ღამე | კვირა 23.08 დღე | ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19° | 14 ° | 22° | 16° | 25 ° | 19 ° | 25° | 19° | 29 ° | 22 ° | 28° | 20 ° | 24 ° | 15 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.